# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 10 აგვისტო 1993 № 3 (50) · ფასი 70 კუპონი


# დაიწყო საქართველოს მეხუთე ჩემპიონატი ფეხბურთში!

| აღმოსავლეთი |
| --- |
| „დინამო“ — „მარგვეთი“ 4:0 |
| „შევარდენი 1906“ — „ერქვანი“ 3:0 |
| „მაღაროელი“ — „კახეთი“ 2:0 |
| „საპოვნელა“ — „მეტალურგი“ 3:0 |
| „მრეტები“ — „დილა“ 1:0 |

| დასავლეთი |
| --- |
| „ტორპედო“ — „შუქურა“ 1:1 |
| „კოლხეთი 1913“ — „ამირანი“ 5:3 |
| „სამტრედია“ — „მზიური“ 5:0 |
| „ბათუმი“ — „ცხუმი“ 3:0 |
| „გურია“ — „ოდიში“ 4:1 |


5 თოთხმეტი წლის შემდეგ „ანტრაქტის“ პირველი მოგება

7 მოგზაურობა დედამიწის გარშემო ქართველი გინესის წიგნში


## გოჩა ჯამარაული — სიტყვის კაცი!

„დინამოს“ ყველა მატჩი „ლინფილდთან“ თამაშისწინა რეპეტიციად განიხილება. თუ „მარგვეთთან“ მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, დინამოელები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ისინი მაინც არ გაიხსნენ ბოლომდე, მთელი ძალა არ დახარჯეს ზესტაფონელთა წინააღმდეგ. საკმარისი იყო რომელიმე თბილისელის აფეთქება, რომ „მარგვეთის“ კართან უმალ სახიფათო მომენტი იქმნებოდა. მეტად ლამაზი სანახავი იყო ქინქლაძის გარღვევები, რომელთა ადრესატი ძირითადად შოთა არველაძე იყო. პირველ მომენტში შოთას ცოტა დააკლდა კარის ასაღებად, მეორედ კი გიორგიმ ცენტრიდან დაიწყო დრიბლინგი, დიაგონალზე გადაკვეთა მინდორი, გზადაგზა ოთხი მეტოქე მოატყუა და ზედ საჯარიმოსთან ზუსტი პასი მიაწოდა შოთას, რომელმაც ზუსტი დარტყმით დასაბამი დაუდო „დინამოს“ გოლებს მეხუთე ჩემპიონატში. მალე ჯამარაულმა ასევე ლამაზი რეიდი ძლიერი დარტყმით დაასრულა — 2:0. სტუმრებს წინ მხოლოდ მეგრელაძე ჰყავდათ, რომელსაც პერსონალურად დარაჯობდა ქველაძე და წინა ჩემპიონატის ბომბარდირი საიმედოდ აღმოჩნდა ჩაკეტილი. პირველი ტაიმის ბოლოს ტრავმა მიიღო შოთა არველაძემ (საბედნიეროდ, როგორც შემდეგ გაირკვა, მსუბუქი) და ზესტაფონელებმა ცოტა ამოისუნთქეს, თუმცა სერიოზული ვერაფერი შექმნეს.

მეორე ტაიმი ისევ ქინქლაძის გარღვევებით დაიწყო, მაგრამ ის, რაც ჯამარაულმა გააკეთა, იშვიათად უნახავს ვინმეს ჩვენს სტადიონზე: ვერაფრით დავთვალე, რამდენი კაცი მოატყუა გოჩამ, ზედ ბაბუაძეც მიაყოლა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. საოცარია, წინა ოთხ ჩემპიონატში ჯამარაულმა სულ სამი გოლი გაიტანა, ახლა კი ერთ მატჩში — ორი, თანაც ერთიმეორეზე ლამაზი! მატჩის მინურულს რეზო არველაძემ მისთვის ჩვეულ სტილში დაჯაბნა მცველები, მის ჩაწოდებულ ბურთს უმცროსმა ძმამ დაუხვედრა თავი და ლურსმანივით შეარჭო მეტოქის კარში მეოთხე ბურთი. „მარგვეთმა“ ვერც ნაგების შელამაზება შეძლო — ჩიქოვანმა საჯარიმოში ლონლაძე წააქცია და პენალტით დაჯარიმდა, მაგრამ მეგრელაძემ საკმაოდ დააცილა ბურთი კარს.

ამ მატჩში დინამოელებმა გულშემატკივრებს მათთვის ჩვეული ლამაზი ფეხბურთი აჩვენეს და იმედებით აღავსეს ისინი. აღსანიშნავია ნემსაძის გამოჩენა დაცვაში, სადაც აშკარად იგრძნობოდა შელიას არყოფნა. თუ „დინამო“ დაცვასაც ისე გააძლიერებს, როგორი ნახევარდაცვა და თავდასხმაც ჰყავს, ვფიქრობ, „ლინფილდს“ ვერაფერი უშველის.

ამ მატჩში სასიამოვნო აღმოჩენა იყო ჯამარაულის შედეგიანი თამაში. „დინამოში“ აქამდე სამივე არველაძე, ქინქლაძე და ანჩაბაძე იყვნენ ის ფეხბურთელები, რომელთაც ინდივიდუალურად შეეძლოთ მატჩის ბედის გადაწყვეტა. სასიამოვნოა, რომ მათ რიგებს ჯამარაულიც შეემატა. მასთან ინტერვიუ, რომელიც ჩვენი გაზეთის მეოთხე გვერდზეა დაბეჭდილი, მატჩის დღეს 12 საათზე შედგა. გოჩამ შვიდიოდ საათში აასრულა სიტყვა.

გივი ნოდია („დინამოს“ უფროსი მწვრთნელი): დასახული გეგმა ზუსტად შესრულდა.

(იხილეთ მეორე გვერდი)





ეროვნული ბიბლიოთეკა


გია ახალაძე

# ჩაშლილი დუელი

**შევარდენი 1906 — 3**
**ერქვანი — 0**

თბილისი, „შევარდენის" სტადიონი. 8 აგვისტო

შევარდენი: ნაჭყებია, კვიტატიანი, შურღაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ელიაშვილი, ბაკურაძე (ტარყაშვილი, 72), ქოჩლაძე, გოგიჩაიშვილი, ფანცულაია, ჯიქია.
ერქვანი: მაკასარაშვილი, შალამბერიძე, გეგეშიძე, გვაზავა, ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, მოსიკაშვილი, ჭოლოკავა, კიკნაძე, მეტრეველი (ჩიბაშვილი, 46; დოლიძე, 70).

1:0 გოგიჩაიშვილი (35 პ)
2:0 ჯიშკარიანი (41)
3:0 ფანცულაია (43)

გაფრთხილება: ჯიშკარიანი, კვიტატიანი
გაძევება: გეგეშიძე (10, საგოლე შეტევის ჩაშლისთვის)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ვინც განახლებული „სარბიელის" პირველი ნომერი იხილა, ყურადღებას მიაქცევდა წერილს, რომელიც მკითხველს მამუკა ფანცულაიას ფეხბურთში დაბრუნებას ამცნობდა და თან მეკარეებს აფრთხილებდა — ფანცულაია ხომ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ვიდრე მეკარისთვის მოიცლიდა, მამუკამ გურჯაანელ მცველებს აყარა შავი დღე. ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ, ჯერ კი თქვენს ყურადღებას მატჩისწინა რიტუალის ერთ დეტალს მივაპყრობთ.

როგორც სეზონის პირველი მატჩის წინ იციან ხოლმე, გუნდების კაპიტნები, ჯიშკარიანი და ფოფხაძე საქართველოს დროშის აღმართვას შეუდგნენ, სტადიონზე კი ასეთ დროს ტრადიციული


გია ჯიშკარიანი

ეროვნული ჰიმნის ნაცვლად უცნობი მელოდია აჟღერდა, რომლის ტექსტიც სულ რამდენიმე სიტყვისგან შედგებოდა: საქართველო, წმ. გიორგი, ჰარი-ჰარალე... თუმცა, შეხვედრა ისე საინტერესოდ დაიწყო, ასეთი „წვრილმანისთვის" აღარავის ეცალა...

პირველი წუთებიდანვე ერთმანეთს სხვადასხვა დროს სამუდამო დისკვალიფიკაციამისჯილი, შემდგომ კი „შეწყალებული" ორი ფეხბურთელი შეეყარა: ლაცაბიძე საგანგებოდ მეურვეობდა ფანცულაიას, მაგრამ ყოფილი „კატორღელების" დუელმა ათიოდ წუთს გასტანა. თბილისელთა კართან დანიშნული პირველივე კუთხურის დროს ლაცაბიძეს სულმა წასძლია, ფანცულაია თავის ლიბეროს — გეგეშიძეს დაუტოვა, თავად კი მოიერიშეთ შეუერთდა, მაგრამ უკან დაბრუნება დააყოვნა — მისი „კოლეგა" უკვე მაკასარაშვილთან პირისპირ გადიოდა, გეგეშიძეს კი თითქოს ზემოხსენებული წერილის სათაური — „მეკარეებო, ფანცულაია ბრუნდება" — გაახსენდაო, მეტოქეს მეკარესთან შეყრა აღარ აცალა და საჯარიმოს მისადგომებთან მოცელა, რისთვისაც სრულიად სამართლიანად მოედანი დაატოვებინეს. ამის შემდეგ ფანცულაია ლაცაბიძეს ნახევარმცველ ფოფხაძისთვის გადააბარებინეს, თავად კი ლიბეროდ გაამწესეს, ასე რომ, რიცხობრივი უპირატესობა „შევარდენმა" მოედნის ცენტრში მიიღო, რაც შემდგომ დიდებულად გამოიყენა კიდეც: გოგიჩაიშვილი და ჯიშკარიანი თავისუფლად ნავარდობდნენ ფლანგებზე, ჯიქია კი მათ პასებს არ აკლებდა. „ერქვანის" ნახევარმცველები, მეტადრე კი კიკნაძე, ვერც თავის ერთადერთ ფორვარდ ჭოლოკავას ეხმარებოდნენ და დიდად ვერც დაცვას არგეს — მხოლოდ ოცდამეთხუთმეტე წუთამდე გაუმკლავდნენ რიცხვმრავალ მეტოქეს — ტაიმის ბოლოს „შევარდენმა" სამი გოლი შეაგდო. ჯერ ჯიშკარიანის გარღვევის შემდეგ კარისკენ მიმავალი ბურთი ფოფხაძეს ბედად ხელზე მოხვდა — სწორედ რომ ბედად, რადგან განზრახ რომ ეთამაშა ხელით, პენალტის გარდა მოედნიდან გაძევებასაც „გამორჩებოდა"; მერე ჯიშკარიანის დარტყმული ბურთი მოსიკაშვილს თავში მოხვდა, გეზი იცვალა და მაკასარაშვილს ნახტომი გაუცუდა, ბოლოს კი გოგიჩაიშვილმა და ფანცულაიამ მოუთავეს ხელი გურჯაანელთა ისედაც ფარღალალა დაცვას — 3:0 (გია ახალაძის ფოტოზე სწორედ ფანცულაიას მესამე გოლია აღბეჭდილი). შესვენებამდე „ერქვანმა" შეტევაში ერთხელ დაგვამახსოვრა თავი — ჭოლოკავას ეშმაკური პასი „შევარდენის" დებიუტანტ კვიტატიანს ყვითელ ბარათად დაუჯდა.

მეორე ტაიმში სასეირო აღარაფერი მომხდარა, თუ თბილისელთა ახირებას არ ჩავთვლით — სამჯერ ჯიშკარიანმა, თითოჯერ კი გოგიჩაიშვილმა და ფანცულაიამ მაკასარაშვილისთვის მაინცდამაინც ბურთის თავს ზემოთ გადაგდება მოისურვეს — ხუთჯერვე ამაოდ.

გურჯაანის სახელდახელოდ შეკრებილი გუნდის მკაცრად განსასჯელად კაცს ენა ვერ მოუბრუნდება: შარშანდელი შემადგენლობიდან გუშინწინ ორი კაცი — ფოფხაძე და მოსიკაშვილი ვიხილეთ, თუმცა ცხადია, „ერქვანს" მძიმე სეზონი ელის და თავიდან თუ არ დააგროვა ქულათა მარაგი, მერე და მერე შეიძლება უფრო გაუჭირდეს.

მეტოქის სისუსტის გამო „შევარდენის" რეალური ძალა ძნელი შესაფასებულია, მაგრამ პირველი შეხვედრა მაინც იძლევა ოპტიმიზმის საბაბს. თვალშისაცემი იყო თბილისელთა უაღრესად მოწესრიგებული და მობილური თამაში, მეტადრე — უბურთოდ მოძრაობა და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ვერ შევამჩნიეთ „შევარდენის" „საფირმო ნიშანი" — მოთამაშეთა შორის გაუთავებელი კინკლაობა და ლანძღვა-გინება. ნურც სეზონისწინა დიდი დანაკლისი შეაკრთობს ვინმეს — თბილისელებს საკმარისი კომპენსაცია მიუღიათ: დაცვაში კვიტატიანსა და შურღაიას მალე ნადირაძეც შეემატებათ, რომელიც გულდაგულ ვარჯიშობდა მატჩის წინ. აქვე აღვნიშნავთ მელქაძის კარგ დებიუტს თავისუფალ მცველად, თუმცა კოტე, ისევე როგორც მთელი დაცვა, ზოგჯერ არც უხეშობას თაკილობდა. ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით მეკარე ნაჭყებიაზე — „ერქვანთან" უქმად იდგა. ფანცულაია, რომელსაც გუშინწინ ძალიან აკლდა მეორე თავდამსხმელის მხარდაჭერა, ვფიქრობთ, თავს ყიზილაშვილზე ნაკლებ მოთამაშედ არ უნდა თვლიდეს და იქნებ ჯიქიამაც გასწიოს ნემსაძეობა — ცოდვაა, დიდებულ ფორმაში მყოფ ჯიშკარიანსა და გოგიჩაიშვილს პასები მოაკლდეთ.

ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია — გუნდის რეალური ძალა ძლიერ მეტოქესთან მატჩში გამოჩნდება და რაღა შორს წავიდეთ, უძლიერესი მეტოქე „შევარდენს" შემდეგ ტურშივე ელის — ზეგ, 8 საათზე, ეროვნულ სტადიონზე II ტურის მთავარი თამაშია: „დინამო" — „შევარდენი"!

მამუკა ჩიხლაძე

# გოჩა ჯამარაული — სიტყვის კაცი!

დასაწყისი პირველ გვერდზე

თამაში ჩვენთვის სასურველ ტემპში მიგვყავდა, რომელსაც საჭიროებისამებრ ვცვლიდით. შევეცდებით „ლიხფილდთან" მატჩში ის უმნიშვნელო შეცდომებიც გამოვასწოროთ, რომელსაც ჩვენი მცველები უშვებდნენ. მომავალ მატჩში ალბათ შელია მწყობრში იქნება, ეს კი ერთიორად გააძლიერებს ჩვენს დაცვას.

სოსო ფრუიძე („მარგვეთის" მთავარი მწვრთნელი): გუნდი თოთხმეტმა კაცმა დატოვა. მხოლოდ ორი დღის წინ შევიკრიბეთ ამ შემადგენლობით და ერთხელ მოვასწარით ვარჯიში. ოთხი-ხუთი ტურის შემდეგ ვფიქრობ მივუახლოვდებით სასურველ ფორმას. ამასობაში ჩვენს სტადიონს დისკვალიფიკაციის ვადაც გაუვა და საკუთარ კედლებში მეტი თავდადებით ვითამაშებთ. კლუბის ხელმძღვანელობა (თამაზ შარაშენიძე, თამაზ მდივანი) ყველა ღონეს ხმარობს, რომ კვლავ ძლიერი გუნდი გვყავდეს. რაც შეეხება ხალხს, მათ მონატრათ ფეხბურთი და იმედია, წინა სეზონის მსგავსი ვანდალური აქტი აღარ განმეორდება ჩვენს სტადიონზე.

მამუკა კვანტალიანი

**დინამო — 4**
**მარგვეთი — 0**

თბილისი, ეროვნული სტადიონი. 8 აგვისტო

დინამო: ზოიძე, ქველაძე, ჩიქოვანი, ნემსაძე, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე (ბერაძე, 35; ლობჟანიძე, 61).
მარგვეთი: ბაბუაძე, ფაიქიძე, გურიელიძე, ლონღაძე, ნიქარიშვილი, მანაგაძე (ჩიხლაძე, 60), ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი (გიორგაძე, 80), შენგელია.

1:0 შ. არველაძე (12)
2:0 ჯამარაული (20)
3:0 ჯამარაული (55)
4:0 ა. არველაძე (86)

მეგრელაძემ ააცილა პენალტი (82)

მსაჯი: თ.ლაცაბიძე (სურამი)

# ბევრი ბარათი და მხოლოდ ერთი გოლი

**მრეტები — 1**
**დილა — 0**

თბილისი, „შევარდენის" სტადიონი. 9 აგვისტო

მრეტები: ჯანელიძე, ქვარცხავა, ძაბირაძე, ქორიძე, ირემაშვილი, ბახტაძე, მოსულიშვილი, თეთრაული, ჩუხუა, გიორგაძე (ჯუღელი, 35; ზეიკიძე, 46), იაგორაშვილი.
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, მეტრეველი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, ტაბატაძე, რევაზიშვილი, მინდიაშვილი.

1:0 ჩუხუა (86)

გაფრთხილება: ქორიძე, ზეიკიძე, ბახტაძე, მეტრეველი, ციცქიშვილი, მინდიაშვილი
მსაჯი: თ.ლაცაბიძე (სურამი)

მეხუთე ჩემპიონატის წინ გუნდებში დიდი ცვლილებები მოხდა. „მრეტებიც" და „დილაც" ამ მხრივ რეკორდსმენები არიან: როგორც „მრეტების" მენეჯერმა, აფხაზეთიდან ახლახანს დაბრუნებულმა ირაკლი ქავთარაძემ მითხრა, რომ გუნდი თხუთმეტ ფეხბურთელს დაუტოვებია, ამას დაემატა ტყავაძის არყოფნა და განაცხადი გუნდმა მხოლოდ მატჩის დღეს წარადგინა. „დილას" მეორე მწვრთნელმა რობერტ ამბრიაშვილმა კი მითხრა, რომ მოთამაშეთა დიდი ჯგუფის გარდა გუნდი... მთავარი მწვრთნელის გარეშეც დარჩენილა. ამიტომ აღარ გამკვირვებია, თუ რატომ ჩაიარა მატჩმა უინტერესოდ და უხეშად. მინდორზე არ იყო ფეხბურთელი, რომელიც „დაალაგებდა„ თამაშს, როგორც ეს იგივე ტყავაძემ იცოდა. ერთადერთი გამიზნული და ზუსტი პასი გაკეთდა მატჩის მიწურულს, როდესაც ბახტაძემ მარცხენა ნახევარმცველის ადგილიდან ოცდაათ მეტრში გორელთა საჯარიმოში ზედ ფეხზე დაასვა ბურთი ჩუხუას, გორელი მცველები კი მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს, როცა ჩუხუამ დაამუშავა ბურთი, გაისწორა და „დაცხრილა" გორელთა მეკარე ვოლკოვი. ამ ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „მრეტებს".

როგორც ზემოთ ვთქვი, მატჩი უხეშობითაც გამოირჩეოდა: თამაზ ლაცაბიძემ ექვსი ყვითელი ბარათი უჩვენა მეტოქეებს, თუმცა ჩემი აზრით, მეტის ჩვენებაც შეეძლო. როგორც თავად არბიტრმა მითხრა, ექვსი ბარათიც სარეკორდო ყოფილა მისთვის.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ „მრეტებიც" და „დილაც" ყოველთვის პერსპექტიული ფეხბურთელებით იყვნენ დაკომპლექტებული, ამიტომ ძალზე სამწუხარო იქნება, თუ ამ ორმა თვითმყოფადმა გუნდმა ამ სეზონში საკუთარი სახე დაკარგა.

მამუკა კვარაცხელია

**მაღაროელი — 2**
**კახეთი — 0**

ჭიათურა, ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო

მაღაროელი: ხელაძე, იაკობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, თამაზაშვილი, აბრამიშვილი, ბრეგვაძე (ბურძენიძე, 75), ბუიშვილი, კავთელაძე, დადუნაშვილი, მწყერაშვილი (სამხარაძე, 80).
კახეთი: გრიშიკაშვილი, ტოგონიძე, კაციტაძე, სანადირაძე, ნაკუდაიძე (ა. ხორხელი, 64), ჭვრიტიძე, კვარაცხელია, ლ. ხორხელი, ალავიძე, ბაბულაიძე, შონია (დემეტრაძე, 75).

1:0 მწყერაშვილი (13)
2:0 ბურძენიძე (89)

მსაჯი: მ. ჭელიძე (თბილისი)

**საპოვნელა — 3**
**მეტალურგი — 0**

თერჯოლა, ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო

საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია (ტუხაშვილი, 80), გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე (გურაბანიძე, 66)
მეტალურგი: ქორიძე, ნოდია, დიმიტრიშვილი (ჩოჩიევი, 25), ბურნაძე, დუშუაშვილი, ვ. კილასონია, არსოშვილი, გ. კილასონია (მაჭავარიანი; 55), ალადაშვილი, მეტრეველი, ლუდუშაური.

1:0 ქურცაძე (31)
2:0 უკლება (49)
3:0 ბრეგვაძე (77)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დასავლეთი

# ათცთუ ურიგო პრეზენტაცია

**ტორპედო 1**
**შუქურა 1**

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი.
8 აგვისტო

ტორპედო: კახიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ჯინჭარაძე, ვოსკანოვი, გიორგობიანი (მესიაჩენკო, 62), მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე (უშვერიძე, 46).
შუქურა: ბერაძე, კოროტკოვი, კანდელაკი, ჭელიძე, კაკუბავა, ბერიძე (გვიანიძე, 80), ღლონტი, ლონლაძე, გვასალია (კედელაძე, 76), გორგილაძე, ამბიძე.

0:1 ამბიძე (65)
1:1 ნოზაძე (77 პ)

გაფრთხილება: კანდელაკი, ამბიძე, ჯინჭარაძე
გაძევება: ამბიძე (76, გაფრთხილების შემდეგ ბურთი განზრახ გადააგდო)
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

წლევანდელმა ქართულმა საფეხბურთო ტრანსფერმა არაერთ გუნდს გაუჩინა საფიქრალი, ზოგი აუტსაიდერი კი ისე გაძლიერდა, ყოფილ ლიდერებს შეეცილება ალბათ. კაბალაში ჩავარდნილთა შორისაა ქუთაისის „ტორპედოც", რომელიც პირველ ტურში პირველი ჯგუფის დებიუტანტს იღებდა შინ. მასპინძელთა შემადგენლობაში ოთხი „ვეტერანი" მცველი: ჩხაბერიძე, ვოსკანოვი, ხართიშვილი და დიდავა თამაშობდა. მათ გარდა პირველ ჯგუფში თამაშის გამოცდილება ხუჭუას, კვეტენაძეს, მაღლაკელიძესა და შეცვლაძე შემოსულ მესიაჩენკოს ჰქონდათ. რაც შეეხება სტუმრებს, მათ გასაძლიერებლად ბათუმელი ღლონტი, ხობელი გვასალია, ოჩამჩირელი კაკუბავა, სამგურალელი ჭელიძე და ხაშურელები ამბიძე და კანდელაკი ჰყავთ დამატებული. ასე, რომ 8 აგვისტოს მატჩი ორივე გუნდის ფეხბურთელებისათვის დებიუტსაც წარმოადგენდა და პრეზენტაციასაც. ახალწვეულთა კვალობაზე ურიგოდ არცერთ გუნდს არ უთამაშია, თუმცა დასავლეთ ზონის ლიდერობაზე, ვეჭვობ, პრეტენზიას ვერ განაცხადებენ.

შეხვედრა ტორპედოელთა შეტევებით დაიწყო. ჯერ იყო და მასპინძელთა კარგი კომბინაცია: ხუჭუა — გიორგობიანი (ქუსლით) — ნოზაძე მაღლაკელიძემ მაკრატელათი კარს ააცილა, შემდეგ კი ჯინჭარაძემ „შუქურას" კარის ძელთა სიმაგრე შეამოწმა. სტუმრებმა თანდათან აუღეს ალღო თავდაპირველად მოუხელთებელ მასპინძლებს და თავად გადავიდნენ შეტევაზე. მართალია, პირველ ტაიმში ამბიძის ახლო დარტყმას უკანა მცველი დიდავა აღუდგა წინ, მაგრამ 66-ე წუთზე ქობულეთელთა ნახევარმცველის მიერ კარისკენ გაგზავნილ ბურთს ველარავინ გადაეღობა. მცველისგან რიკოშეტით აჭრილი ბურთი ისე ჩაეშვა კარში, რომ მეკარემ მხოლოდ თვალი გააყოლა. მასპინძლებმა გოლს სწრაფი კონტრშეტევით უპასუხეს, რაც საჯარიმო ხაზთან ახლოს ხუჭუას მოცელვით დამთავრდა. ტორპედოელები თავიანთ ტექნიკურ დირექტორთან ერთად ამაოდ ითხოვდნენ პენალტს. მატჩის არბიტრმა ისინი მხოლოდ ჯარიმას დააჯერა, გიორგი აბზიანიძე კი — სიტყვიერ გაფრთხილებას. პენალტი „შუქურას" კარში მაინც დაიდო, ოღონდ მას შემდეგ, რაც გუნდები ათ-ათი ფეხბურთელით დარჩნენ: ვოსკანოვთან ორთაბრძოლაში გაფრთხილება მიიღო ამბიძემ, შემდეგ კი საერთოდ გაძევებულ იქნა. თამაში ვერც ვოსკანოვმა გააგრძელა. მას შემდეგ, რაც ამბიძის ფუნქცია ვეტერან გორგილაძეს დაეკისრა, ქუთაისლები თავად გადავიდნენ შეტევაზე. ერთ-ერთ მომენტში მესიაჩენკოს წინააღმდეგ უხეში თამაშისას სტუმრები პენალტით დაჯარიმდნენ და ნოზაძემ გამოიყენა თავისი შესაძლებლობა — პირველ ჯგუფში პირველი გოლი გაიტანა.

**ქობულეთელებმა, როგორც ჩანს, სასურველ შედეგს მიაღწიეს. მატჩის შემდეგ მათი პრეზიდენტი რევაზ ჩელებაძე კმაყოფილი გახლდათ. ქუთაისელებმა კი პირველი ორი ქულა დაკარგეს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შარშან „ტორპედომ" პირველ საშინაო მატჩში „კოლხეთი 1913-თან" გაიყო ქულები, პრეზენტაცია მთლად ურიგოდ არ უნდა ჩაითვალოს.**

**ვახტანგ ბზიკაძე,**
**ქუთაისი**

გთავაზობთ პირველი ჯგუფის იმ გუნდების განაცხადებს, რომლებიც წინა ნომერში ვერ გამოვაქვეყნეთ, აგრეთვე გუნდებში მოგვიანებით დამატებული ფეხბურთელების სიას.

## შევარდენი 1906 თბილისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ნადირაძე | 1968 | 1993 | 101 | 4 |

## დილა გორი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბადრი გიგუაშვილი | 1965 | 1992 | 26 | — |
| ნუგზარ ცხადაძე | 1969 | 1993 | — | — |
| გიორგი რევაზიშვილი | 1977 | 1993 | — | — |
| შალვა ტაბატაძე | 1966 | 1993 | 15 | — |
| ჯამბულ გაგნიძე | 1963 | 1993 | — | — |
| დავით ეჯოშვილი | 1976 | 1993 | — | — |
| რამაზ სოლოლაშვილი | 1977 | 1993 | — | — |

## დინამო თბილისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნუგზარ ლობჟანიძე | 1971 | 1993 | 83 | — |
| შალვა ხუჯაძე | 1974 | 1993 | 20 | — |
| დავით სოლოლაშვილი | 1969 | 1993 | 74 | 2 |

## ერქვანი გურჯაანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი მაკასარაშვილი | 1969 | 1993 | 92 | — |
| კახა ნარეკლიშვილი | 1969 | 1993 | — | — |
| ვალერიან გეგეშიძე | 1972 | 1993 | 68 | 1 |
| გოჩა ჩიბაშვილი | 1971 | 1993 | 29 | 4 |
| მალხაზ ლაცაბიძე | 1962 | 1993 | 76 | 11 |
| გიორგი თაბუკაშვილი | 1971 | 1993 | — | — |
| ზაზა ინიაშვილი | 1969 | 1993 | 93 | 10 |
| თემურ შალამბერიძე | 1969 | 1993 | 109 | 17 |
| თენგიზ დოლიძე | 1972 | 1993 | — | — |
| პაატა მეტრეველი | 1968 | 1993 | 31 | 5 |
| ვალერი ყიზილაშვილი | 1971 | 1993 | 33 | 4 |

## საპოვნელა თერჯოლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ტუხაშვილი | 1972 | 1993 | — | — |

## კოლხეთი 1913 ფოთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ივანე ჯულელი | 1967 | 1993 | 115 | 63 |

## ტორპედო ქუთაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ავთანდილ კახიძე | 1968 | 1993 | — | — |
| ვახტანგ თურმანიძე | 1973 | 1993 | — | — |
| დავით ხუჭუა | 1973 | 1993 | 48 | 5 |
| დავით ნოზაძე | 1969 | 1993 | 18 | — |
| მირზა მაღლაკელიძე | 1969 | 1993 | 29 | 4 |
| მალხაზ ჯინჭარაძე | 1971 | 1993 | — | — |
| მამუკა მესიაჩენკო | 1974 | 1993 | 39 | 1 |

## სამტრედია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კახა სიდამონიძე | 1971 | 1993 | 60 | — |
| კარლო კალაძე | 1978 | 1993 | — | — |
| შოთა ჩომახიძე | 1978 | 1993 | — | — |

**ბათუმი 3**
**ცხუმი 0**

ბათუმი, „დინამოს" სტადიონი.
8 აგვისტო

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ყულეჯიშვილი (გეთია, 15), მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში (სიხარულიძე, 65), კანტიძე.
ცხუმი: ქვაჩახია, მიქაძე, ზ. ჯელაძე, სიჭინავა, დანელია, მინდაძე, ლურნკაია, (რუსია, 78), გადელია, გოგიაშვილი, გ. ჯელაძე.

1:0 მაჭუტაძე (70)
2:0 თორლაშვილი (72)
3:0 ხომერიკი (75)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**სამტრედია 5**
**მზიური 0**

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი.
8 აგვისტო

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, ნულაია (გოგელიძე, 75), ამაშუკელი (კალაძე, 82), ქყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია.
მზიური: ესათია, ეთერია, ზ. კვეკვესქირი, დ. ლურნკაია, თ. ლურნკაია, ყოლბაია, ჭ. კვეკვესქირი, ხურგიანი (ტაბალუა, 54), ქორთუა, ჩხეტია, თორია (ქანთარია, 46).

1:0 ფანჩულიძე (22)
2:0 ჯანაშია (66)
3:0 იონანიძე (70)
4:0 იონანიძე (80)
5:0 ჯანაშია (84 პ)

გაფრთხილება: ყოლბაია, ვაშაკიძე
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

განაცხადები

## იბერია ხაშური

მთავარი მწვრთნელი — ვლადიმე ხაჩიძე
ტექნიკური დირექტორი — თემურ კობერიძე
მწვრთნელები — გურამ გვანცელაძე, თენგიზ ოსაძე

| მეკარე | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნიკოლოზ ტოგონიძე | 1971 | 1991 | 26 | — |
| **მცველები** | | | | |
| თამაზ სამხარაძე | 1967 | 1993 | 72 | 1 |
| გიორგი ჯიკაევი | 1974 | 1993 | — | — |
| გიორგი მჭედლიშვილი | 1966 | 1993 | 82 | — |
| ბადრი ტყემალაძე | 1972 | 1992 | 7 | — |
| **ნახევარმცველები, თავდამსხმელები** | | | | |
| გივი ქობელაშვილი | 1963 | 1992 | 109 | 48 |
| ივანე ხარაზიშვილი | 1963 | 1984 | 66 | 3 |
| ზაზა ბაკურაძე | 1963 | 1992 | 109 | 26 |
| ბადრი რობაქიძე | 1968 | 1984 | 58 | 7 |
| როინ მარლიშვილი | 1971 | 1993 | 110 | 26 |
| ზაზა ლაცაბიძე | 1975 | 1992 | 7 | — |
| დავით ტარიელაშვილი | 1974 | 1991 | 17 | 2 |
| გიორგი ჩადუნელი | 1972 | 1992 | 13 | — |

მოვიდნენ: სამხარაძე (შევარდენი 1906), ჯიკაევი (შირაქი), მარლიშვილი (დილა), მჭედლიშვილი (რკონი)
წავიდნენ: ტარიელ კანდელაკი, ბახვა ამბიძე (შუქურა), რაჟდენ ტოგონიძე (კახეთი), გოჩა ჩიბაშვილი, მალხაზ ლაცაბიძე, თემურ შალამბერიძე (ერქვანი), მამუკა ბახტაძე (მრეტები), გერასიმე ლურსმანაშვილი, დავით ფირანიშვილი, ვლადიმერ ფოცხვერაშვილი, რევაზ გლუნჩაძე

## მრეტები თბილისი

მთავარი მწვრთნელი — ვაჟა ჩხაიძე
ტექნიკური დირექტორი — ირაკლი ქავთარაძე
მწვრთნელები — ივანე ლუცენკო, სერგო აპრესიანი

| მეკარე | | | | |
|---|---|---|---|---|
| დავით ჯანელიძე | 1973 | 1990 | 65 | — |
| **მცველები** | | | | |
| მამუკა ქვარცხავა | 1969 | 1991 | 53 | 1 |
| ალექსანდრე ძაბირაძე | 1975 | 1992 | 14 | 1 |
| გიორგი ირემაშვილი | 1976 | 1992 | 4 | — |
| გელა ქორიძე | 1973 | 1991 | 49 | 2 |
| **ნახევარმცველები, თავდამსხმელები** | | | | |
| ჯუმბერ ჩუხუა | 1974 | 1991 | 60 | 23 |
| გიორგი ტყავაძე | 1966 | 1990 | 38 | 20 |
| ვახტანგ იაგორაშვილი | 1975 | 1991 | 43 | 3 |
| დიმიტრი ზეიკიძე | 1971 | 1992 | .42 | 6 |
| მამუკა ბახტაძე | 1971 | 1993 | 48 | — |
| გიორგი მოსულიშვილი | 1975 | 1993 | — | — |
| დავით თეთრაული | 1967 | 1993 | 31 | 11 |
| ლაშა ჯულელი | 1974 | 1993 | — | — |
| მაცი გიორგაძე | 1976 | 1993 | — | — |

მოვიდნენ: მოსულიშვილი (ბახტრიონი), ბახტაძე (იბერია), ჯულელი (არმაზი 90), თეთრაული, გიორგაძე
წავიდნენ: კახა სიდამონიძე, ბესიკ ამაშუკელი (სამტრედია), მერაბ ტარყაშვილი (შევარდენი 1906), ჯონი შალამბერიძე, ნიკა კაკუბავა (ამირანი), კობა ყორყიაშვილი (ანცი), დემურ კაკუბავა (შუქურა), მამუკა ყანჩაშვილი, ზვიად პაპიძე, გურამ ასპინძელაშვილი, ნიკა ყიფიანი, სოსო ბარამიძე

## კახეთი თელავი

მთავარი მწვრთნელი — ჯემალ მახარაშვილი
ტექნიკური დირექტორი — მერაბ ბიწკინაშვილი
მწვრთნელი — გოჩა როსტომაშვილი

| მეკარე | | | | |
|---|---|---|---|---|
| იოსებ გრიშიკაშვილი | 1972 | 1991 | 27 | — |
| **მცველები** | | | | |
| რევაზ ნაკუდაიძე | 1967 | 1989 | 11 | — |
| რაჟდენ ტოგონიძე | 1967 | 1993 | 38 | — |
| მერაბ კაციტაძე | 1963 | 1992 | 101 | 11 |
| ევგენი სანადირაძე | 1965 | 1993 | 75 | 3 |
| კობა ჭაჭუა | 1972 | 1992 | 25 | — |
| **ნახევარმცველები, თავდამსხმელები** | | | | |
| გოჩა ჭერიტიძე | 1963 | 1986 | 29 | 13 |
| ემზარ შონია | 1965 | 1992 | 29 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | 1976 | 1993 | 9 | 2 |
| ავთანდილ ხორხელი | 1975 | 1992 | 11 | — |
| ლევან ხორხელი | 1971 | 1991 | 17 | 2 |
| სოსო ბაბულაიძე | 1969 | 1992 | 28 | 5 |
| ბადრი კვარაცხელია | 1965 | 1993 | 18 | 5 |
| მალხაზ ალავიძე | 1970 | 1993 | 20 | 4 |

მოვიდნენ: ტოგონიძე (იბერია), სანადირაძე (ერქვანი), კვარაცხელია (დინამო)
წავიდნენ: დავით სოლოლაშვილი (დინამო), დიმიტრი მეტრეველი (დილა), ირაკლი კალუჟა, დავით პაიკიძე (ისლანდია), ედუარდ ამისულაშვილი, მერაბ ბიწკინაშვილი, გოჩა როსტომაშვილი, დავით მაღრაძე, გერონტი ფრუიძე, ზაზა ჯაშიაშვილი, კახა წიკლაური, მურთაზ ხურცილავა

## შუქურა ქობულეთი

მთავარი მწვრთნელი — ვალიკო ჩხარტიშვილი
ტექნიკური დირექტორი — გურამ გოგმაჩაძე
მწვრთნელები — ზურაბ ჯინჭარაძე, მანუჩარ გუგუშვილი

| მეკარეები | | | | |
|---|---|---|---|---|
| ივანე ბერაძე | 1968 | 1993 | 49 | — |
| კუკური ჩხაიძე | 1973 | 1990 | — | — |
| ლევან დოლაბერიძე | 1971 | 1993 | 4 | — |
| **მცველები** | | | | |
| იგორ კოროტკოვი | 1965 | 1983 | — | — |
| ტარიელ კანდელაკი | 1963 | 1993 | 29 | — |
| ნოდარ ჭელიძე | 1964 | 1993 | 101 | 10 |
| ავთანდილ ლონლაძე | 1958 | 1974 | — | — |
| დემურ კაკუბავა | 1972 | 1993 | 79 | 5 |
| **ნახევარმცველები, თავდამსხმელები** | | | | |
| ზაზა ხურციძე | 1968 | 1989 | — | — |
| ჯუმბერ ბერიძე | 1972 | 1988 | — | — |
| ავთანდილ გვიანიძე | 1974 | 1990 | — | — |
| ავთანდილ წიკლაური | 1964 | 1993 | 18 | — |
| ბახვა ამბიძე | 1967 | 1993 | 45 | 4 |
| გია კედელაძე | 1963 | 1991 | 7 | |
| ავთანდილ ღლონტი | 1974 | 1993 | 63 | 5 |
| ელდარ გვასალია | 1973 | 1992 | 85 | 10 |
| ამირან ანანიძე | 1964 | 1981 | — | — |
| ავთანდილ გორგილაძე | 1955 | 1987 | — | — |

მოვიდნენ: ბერაძე, გვასალია (დურუჯი), კანდელაკი, ამბიძე (იბერია), წიკლაური, დოლაბერიძე (არაგვი), ჭელიძე (სამგურალი), კაკუბავა (მრეტები), ღლონტი (ბათუმი)
წავიდნენ: ავთანდილ კუნჭულია, პასან ნუნუნავა, დავით ტაკიძე, გელა ლორია, გურამ გოგმაჩაძე

## მარგვეთი ზესტაფონი

მთავარი მწვრთნელი — სოსო ფრუიძე
ტექნიკური დირექტორი — თემურ კიკნაველიძე

| მეკარე | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ბაბუაძე | 1970 | 1992 | 75 | — |
| **მცველები** | | | | |
| გენადი ლანჩავა | 1974 | 1991 | 34 | — |
| თამაზ გაბრიჭიძე | 1968 | 1988 | 79 | 4 |
| მალხაზ ლონლაძე | 1966 | 1988 | 74 | — |
| ზაზა გურიელიძე | 1963 | 1993 | 70 | 1 |
| ვასილ შენგელია | 1963 | 1993 | 110 | 2 |
| გია გიგატაძე | 1963 | 1992 | 107 | 4 |
| **ნახევარმცველები, თავდამსხმელები** | | | | |
| შალვა ბერიძე | 1974 | 1991 | 24 | 2 |
| გია გიორგაძე | 1967 | 1992 | 97 | 8 |
| გიორგი სუხიაშვილი | 1971 | 1993 | 89 | 7 |
| გიორგი თხელიძე | 1976 | 1993 | 6 | — |
| გელა ნიქარიშვილი | 1965 | 1993 | 98 | 6 |
| მამუკა ხუნდაძე | 1966 | 1993 | 109 | 44 |
| მამუკა მანაგაძე | 1965 | 1993 | 74 | 16 |
| მერაბ მეგრელაძე | 1956 | 1993 | 76 | 55 |
| გოჩა ჩიხლაძე | 1970 | 1993 | 73 | 5 |
| თემურ ფაიქიძე | 1965 | 1992 | 100 | 21 |

მოვიდნენ: გურიელიძე, შენგელია, ხუნდაძე (ტორპედო), სუხიაშვილი, ნიქარიშვილი, მანაგაძე, მეგრელაძე, ჩიხლაძე (სამგურალი)
წავიდნენ: მამუკა აბუსერიძე (გურია), ნოდარ კიკნაძე, ზაზა ინიაშვილი (ერქვანი), ივანე ჯულელი (კოლხეთი 1913), გიორგი ნადირაძე, იოსებ ნასუაშვილი, ხვიჩა გაგნიძე, როინ კერძევაძე, მამუკა ნიქაბერიძე

## ცხუმი სოხუმი

მთავარი მწვრთნელი — ნიკა ამირეჯიბი
ტექნიკური დირექტორი — აკაკი პაპავა
მწვრთნელი — მერაბ გოგოხია

| მეკარე | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ ქვაჩახია | 1973 | 1990 | 27 | — |
| **მცველები** | | | | |
| ლევან მიქაძე | 1973 | 1992 | 34 | 1 |
| ზვიად ჯელაძე | 1973 | 1990 | 50 | — |
| ზურაბ მინდაძე | 1972 | 1991 | 52 | 1 |
| თენგიზ სიჭინავა | 1972 | 1990 | 82 | 1 |
| ლევან ანჯაფარიძე | 1975 | 1993 | 3 | — |
| მურთაზ ოჩიგავა | 1973 | 1993 | 25 | — |
| შერმადინ დანელია | 1973 | 1993 | 27 | — |
| ლავრენტი გაგუა | 1976 | 1993 | — | — |
| **ნახევარმცველები, თავდამსხმელები** | | | | |
| გიზო ჯელაძე | 1975 | 1992 | 16 | — |
| თეიმურაზ გადელია | 1972 | 1990 | 51 | 7 |
| გიორგი გოგიაშვილი | 1971 | 1991 | 82 | 30 |
| მამუკა რუსია | 1971 | 1993 | 29 | 4 |
| კლიმენტი ნინუა | 1972 | 1993 | — | — |
| მიხეილ სარჯაია | 1976 | 1993 | 2 | — |
| გაიოზ ჯოჯულავა | 1966 | 1993 | 49 | 5 |
| ზაზა ლურნკაია | 1971 | 1992 | 93 | 3 |

მოვიდნენ: ოჩიგავა, დანელია, რუსია (ოდიში), გაგუა, ნინუა
წავიდნენ: დიმიტრი პაპავა (გურია), ვალტერ გუჩუა (ამირანი), ზურაბ ფარულავა (გასტელო, უფა), მიხეილ ჯიშკარიანი, მელორ ბიგვავა (ფორმატია, გერმანია), გიორგი ჩიხრაძე (რუსეთი), გოჩა ჟორჟოლიანი, სოსო მალანია, გრიგოლ ცაავა, იური გაბისკირია, გურგენ ბენიძე

**„დინამო“ დიღმის ბაზაზე საგანგებოდ ემზადება ჩრდილოირლანდიელ უცნობთან შესახვედრად. პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას უკითხავად არავისაა აქვს ბაზაზე შესვლისა თუ გასვლის უფლება. ფეხბურთელები მთელი სერიოზულობით ვარჯიშობენ — მათ კარგად უწყიან, თუ რას ნიშნავს 18 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ეროვნული სტადიონის მინდორზე გასვლა — ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყებას...**

# «მთავარი მოწინააღმდეგე ფსიქოლოგიური ბარიერია»



გივი ნოდია

**ცნობილია, რომ მატჩს იგებენ ფეხბურთელები და აგებს მწვრთნელი. ძნელია მოიძებნოს მწვრთნელობაზე უმადური პროფესია — ერთი წაფორხილებაა საკმარისი და მთელი ამაგი წყალშია ჩაყრილი. გივი ნოდიას ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მომენტი დგება: 18 აგვისტოს მწვრთნელი და მისი ბიჭები სრულიად საქართველოს წინაშე წარსდგებიან გამოცდის ჩასაბარებლად, გამოცდისა, რომელმაც მრავალ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი.**

**— ბატონო გივი, „დინამოს“ საფრანგეთის ტურნეზე ბევრგან დაიწერა და ითქვა. მიუხედავად ამისა, მაინც გთხოვთ, ორიოდე სიტყვით ფრანგული ტურნეს, როგორც ჩემპიონთა თასისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპის შესახებ მოგვითხროთ.**

— მეოთხე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ორიოდე დღე დავისვენეთ და უკვე ფრანგული ტურნესთვის დავიწყეთ მზადება. ჩავატარეთ ორი ორმხრივი თამაში. საფრანგეთში მეტად მჭიდრო გრაფიკით ვითამაშეთ, ამას თავისებური დადებითი მხარეც ჰქონდა. გამოვცადეთ ყველა ფეხბურთელი. ვითამაშეთ სხვადასხვა ტაქტიკით: სამი, ოთხი, ხუთი მცველი. მაგრამ ამგვარი დაყოფა, ჩემი აზრით, მაინც ნომინალურია, რადგან გუნდი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ევროპაში თამაშზე, ბალანსირებული უნდა იყოს ყველა რგოლში: შეტევაშიც დიდი ძალებით უნდა ერთვებოდეს და დაცვაშის დიდი ძალებით უნდა იცავდეს კარს.

**— ტოტალური ფეხბურთის პრინციპიც ხომ ეს იყო. თქვენ სამოცდაათიან წლებში თამაშობდით, ევროპაში მაშინ ტოტალური ფეხბურთის მეფობის ხანა იდგა. იქნება გაიხსენოთ ის პერიოდი და პარალელი გაავლოთ მაშინდელ და დღევანდელ „დინამოს“ შორის?**

— ტოტალური ფეხბურთის სათამაშოდ ფეხბურთელს მეტად მაღალი კონდიციები უნდა ჰქონდეს. ჩვენ სამხრეთული სტილის ფეხბურთს ვთამაშობთ მაღალ საშემსრულებლო ოსტატობით, ტექნიკით. ასევე არიან ფრანგული გუნდებიც, რომელთაც ჩვენ შევხვდით. გარდა ტექნიკისა, ყურადღება მივაქციე მათ ბრწყინვალე ათლეტურ მომზადებასაც. ახლა გამორიცხულია მარტო ტექნიკის ხარჯზე წარმატების მიღწევა. გარდა ამისა, საგოლე მომენტების გამოყენების პროცენტი მათთან სადღაც 80 პროცენტია, ჩვენ კი საგოლე მომენტების 30-40 პროცენტს თუ ვიყენებთ. ფრანგულმა ტურნემ ყველა ჩვენი ხარვეზი გამოაჩინა და ახლა მაქსიმალურად ვცდილობთ მათს გამოსწორებას.

რაც შეეხება პარალელის გავლებას, მაშინდელ „დინამოში“ არანაკლებ ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ მათ ევროპული ტურნირების გამოცდილება არ ჰქონდათ. არც ჩვენ მაშინდელ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს ჰქონდა წარმოდგენა ევროპულ ტურნირებზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოლიმპიადის, ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატის დროს ხელმძღვანელობდა სსრკ ნაკრებს. ევროპული ტურნირი — ყველასგან განსხვავებული შეჯიბრებაა, აქ მთელი ძალების კონცენტრაცია ორად-ორ თამაშში უნდა გააკეთო. იმ თაობის „დინამოს“ მწვრთნელებისგან განსხვავებით ჩვენ, გუნდის დღევანდელ ხელმძღვანელებს, გვაქვს ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება და ვფიქრობ, ეს ძალიან გამოგვადგება. ჩვენს მაშინდელ მეტოქეს „ტვენტეს“ შინ მხოლოდ 3:2 მოვუგეთ, როცა შეიძლებოდა 6:1 ან 7:2 მოგვეგო, იყო ამის შანსი, მაგრამ დავმარცხდით. მაშინ „ტვენტე“, სხვათაშორის, ჰოლანდიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო, გუნდში ბრწყინავდნენ ძმები ვან დერ კერკჰოფები. მიუხედავად ამისა ჰოლანდიელებმა მხოლოდდამხოლოდ გამოცდილებით გვაჯობეს.

## „დინამოს“ საკონტროლო მატჩები

ფრანგული ტურნე
9-17 ივლისი

**რენი — დინამო 2:1**

ზოიძე, ინალიშვილი, ჩიქოვანი, შელია, ბერაძე, რ. არველაძე, ჯამარაული, ქინქლაძე (ანჩაბაძე, 65), ყაველაშვილი, ა. არველაძე, შ. არველაძე.
გოლი: შ. არველაძე

**ბრესტი — დინამო 0:1**

ჩხეიძე, რეხვიაშვილი, ქველაძე, ლობჟანიძე, შელია (ჩიქოვანი, 46), სოლოღაშვილი, რევიშვილი, ანჩაბაძე, ქინქლაძე (რ. არველაძე, 46), კვარაცხელია, ა. არველაძე.
გოლი: ა. არველაძე

**სოშო — დინამო 2:1**

ზოიძე, ინალიშვილი, ჩიქოვანი, შელია, ბერაძე, რ. არველაძე (რევიშვილი, 74), ჯამარაული, ქინქლაძე, ყაველაშვილი, ა. არველაძე, შ. არველაძე.
გოლი: რ. არველაძე

**უნიონი — დინამო 2:0**

ჩხეიძე, რეხვიაშვილი, ქველაძე, ლობჟანიძე, შელია, ბერაძე, რევიშვილი (ნემსაძე, 46), ჯამარაული (ქინქლაძე, 46), ანჩაბაძე, ყაველაშვილი (შ. არველაძე, 46), კვარაცხელია.

**ნანსი — დინამო 2:2**

ზოიძე, ქველაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, რ. არველაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი, ა. არველაძე, შ. არველაძე.
გოლები: რ. არველაძე, შ. არველაძე

2 აგვისტო
**დინამო — კახეთი 9:2**

ზოიძე, ლობჟანიძე, ჩიქოვანი (ქველაძე, 46), შელია (ბერაძე, 75), რ. არველაძე, ინალიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ა. არველაძე, შ. არველაძე.
გოლები: ა. არველაძე 4, შ. არველაძე 2, რ. არველაძე, ჯამარაული, ინალიშვილი

4 აგვისტო
**დინამო — ანცი 4:3**

ზოიძე, ქველაძე (რევიშვილი, 46), ლობჟანიძე, შელია (ბერაძე, 12), რ. არველაძე, ინალიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ანჩაბაძე, შ. არველაძე.
გოლები: შ. არველაძე 2, ინალიშვილი, ყაველაშვილი

**— ფრანგული ტურნეს შემდეგ ჩემპიონთა თასისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად გერმანული ტურნე უნდა ყოფილიყო, რომელიც არ შედგა. რა იყო ამის მიზეზი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ყველაფერს აკეთებდა, რათა ეს ტურნე შემდგარიყო, გერმანიაში მხოლოდ ერთი სერიოზული მეტოქე მონახა. ეს იმის ბრალი იყო, რომ ყველგან ჩემპიონატები უკვე იწყება და გუნდებს სპარინგ პარტნიორები უკვე მოძებნილი ჰყავდათ.

**— მზადება თბილისში განაგრძეთ. გქონდათ დიღმის ბაზაზე ყველა ის პირობა, რაც საჭიროა ევროპული ტურნირისთვის ნორმალურად მოსამზადებლად?**

— საბედნიეროდ ღმერთმა გადმოგვხედა და ამ გაგანია ზაფხულში ოდნავ აგრილდა. ამან საშუალება მოგვცა ორჯერადი ვარჯიშები ჩაგვეტარებინა და დატვირთვები გაგვეზარდა. ვითამაშეთ ორი საკონტროლო მატჩიც.

**— ორი უკანასკნელი საკონტროლო მატჩი გამოტოვა ქინქლაძემ. რამდენად სერიოზულია ტრავმა?**

— საბედნიეროდ, ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა. ქინქლაძე ითამაშებს პირველ მატჩს „მარგვეთთან“. სამწუხაროდ „ანცთან“ მატჩის დასაწყისში ტრავმა მიიღო შელიამ, რომელიც ჩემპიონატის პირველ მატჩს გამოტოვებს. ტრავმირებულია სოლოღაშვილიც, თუმცა სერიოზული არაფერია.

**— რაიმე ახალი ინფორმაცია ხომ არ გაგიგიათ „ლინფილდის“ შესახებ?**

— „ლინფილდი“ ჩვენთან შეხვედრისათვის სპეციალურ მომზადებას გადის. ორივე გუნდი თანაბარ პირობებში ვიმყოფებით იმ მხრივ, რომ არცერთს არ გვაქვს ინფორმაცია მეტოქეზე. მეტოქეს ერთი ოდნავი უპირატესობა აქვს. იგი მატჩამდე ოთხი დღით ადრე თამაშობს — 14 აგვისტოს, ეს კი, ჩემი აზრით, ოპტიმალური ვარიანტია. ჩვენ ბოლო მატჩი 12 აგვისტოს გვექნება. თხუთმეტ აგვისტოს „ლინფილდი“ უკვე თბილისში ჩამოფრინდება და ორ დღეს აქ გაატარებს.

**— პირველ თამაშს შინ რომ ვთამაშობთ, ეს მეტოქეს რაიმე უპირატესობას ხომ არ აძლევს?**

— არავითარ უპირატესობას არ აძლევს. პირველ თამაშს მეტოქეს მინდორზე მაშინ აქვს დიდი მნიშვნელობა, როცა მეტოქეზე ყველა ინფორმაცია გაგაჩნია. ჩვენ კი ერთმანეთის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით. ჩვენი კლუბიდან 14 აგვისტოს ვინმე აუცილებლად დაესწრება „ლინფილდის“ მატჩს და ინფორმაციას ჩამოგვიტანს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ვერ შეგვიქმნის მეტოქეზე ამომწურავ სურათს.

**— ჩვენს ბიჭებს როგორი განწყობა აქვთ?**

— ბიჭებს შეგნებული აქვთ მატჩის მნიშვნელობა. მთავარი მოწინააღმდეგე ჩვენთვის ფსიქოლოგიური ბარიერი იქნება. „ლინფილდს“ მაქსიმალური ტემპით უნდა ვეთამაშოთ, მაშინ გამოჩნდება მათი სიძლიერე და პოტენციალი. ბელფასტელები მუდამ პირველ წრეში ვარდებოდნენ. უნდა ვეცადოთ, რომ ტრადიცია არც ახლა „დავურღვიოთ“.

მამუკა კვარაცხელია

თბილისი 18.08 — 1.09 ბელფასტი

დინამო — ლინფილდი

# ბიჭები «ლინფილდს» ელიან

**ნინა ოთხ სეზონში გოჩა ჯამარაულმა ტრავმების გამო ბევრი თამაში გამოტოვა და ეროვნულ ჩემპიონატში სულ სამოცდაცხრა მატჩი დაუგროვდა. მეოთხე ჩემპიონატშიც სულ თვრამეტჯერ ითამაშა. გოჩას ნახევარმცველისთვის ძალიან ცოტა — 3 გოლი აქვს გატანილი, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ ბრწყინვალე დრიბლინგის მქონე ჯამარაული ხშირად ზედმეტად ათრევს ბურთს, ამასობაში კი მეტოქე დხცვის გამაგრებას ასწრებს. ფრანგული ტურნეს დროსაც ასე იყო: „სოშოსთან“ მატჩის ბოლო წუთზე გოჩამ ოდნავ დააყოვნა და ნაღდი საგოლე მომენტი დაკარგა. ჩემპიონთა თასზე ასეთ დაუდევრობას არავინ გაპატიებს...**

**— გოჩა, რატომ არ დაარტყი "სოშოსთან" ბოლო წუთზე?**

— საჯარიმოში მარჯვნიდან შევედი, ის იყო, უნდა დამერტყა, ვიგრძენი, — ძალა აღარ მქონდა — ამიტომაც დაიკარგა ის მომენტი.

**— უკვე ოცდაორი წლის ხარ, კიდევ დიდ ხანს აპირებ „მატაობას“?**

— ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ გუნდურ თამაშს. ბურთის ზედმეტად თრევის გარდა ერთი დიდი ნაკლიც მაქვს — გოლები ვერ გამაქვს, მაგრამ იმდენს ვვარჯიშობ ამ მიმართულებით, რომ ვფიქრობ, უნდა დამიფასდეს. ვეცდები, „ლინფილდთან“ პირველივე მატჩში დავამტკიცო ეს.

**— პირველი თამაშის ჩატარება სად გერჩივნა?**

— ბელფასტში. მეორე მატჩზე თბილისში უფრო მხნედ გამოვიდოდით.

**— გული რას გიგრძნობს, გავალთ შემდეგ წრეში?**

— მგონი, ორივე თამაში ჩვენს სასარგებლოდ უნდა დამთავრდეს. ბიჭები უკვე „კოპენჰაგენთან“ მატჩებზე ვლაპარაკობთ.

**— სტადიონზე ბევრი ხალხი მოვა. იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე. როგორ იმოქმედებს თქვენზე ამდენი ხალხი, დიდ აუდიტორიას ხომ ჯერჯერობით შეჩვეული არა ხართ?**

— არ შევდრკებით. პირიქით, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვიგრძნობთ. მინდა ქართველმა ქომაგებმა იცოდნენ, რომ ყველანი ისე ვემზადებით ამ მატჩისთვის, როგორც არასოდეს. თავს არ დავზოგავთ — ეს რომ ლიტონი სიტყვები არაა, 18 აგვისტოს დარწმუნდებით. ამდენი წვალებითა და უბედურებით დატანჯულმა ხალხმა დაიმსახურა, რომ ბოლოსდაბოლოს მივიდეს სტადიონზე და ის სიხარული მიიღოს, რასაც ადრე იღებდა. პირადად ჩემთვის კი ეს ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მატჩი იქნება და მე ყველაფერს დავდებ მის მოსაგებად.



გოჩა ჯამარაული

მამუკა კვანტალიანი

*

საქინფორმის კორესპონდენტი თენგიზ პაჭკორია მოსკოვიდან გვატყობინებს, რომ თბილისის „დინამოს“ რუს ქომაგებს აინტერესებთ, აჩვენებს თუ არა ტელეკომპანია „ოსტანკინო“, ან რუსეთის ტელევიზია „დინამო“ — „ლინფილდის“ მატჩს. ჯერჯერობით ეს უცნობია. „მოსკოველები იმედოვნებენ, რომ ნახავენ ქართველების ტექნიკურ და თვითმყოფად თამაშს“ — ნათქვამია ცნობაში.

## „ლინფილდი“ ევროპულ ტურნირებში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1959-60 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „გიოტებორგი“ შვედეთი | 2:1, 1:6 |
| 1961-62 | ჩთ | 1/16 | „ფორვერტსი“ გდრ — „ლინფილდი“ | 3:0, * |
| 1962-63 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „ესბერგი“ დანია | 1:2, 0:0 |
| 1963-64 | თთ | 1/8 | „ფენერბაჰჩე“ თურქეთი — „ლინფილდი“ | 4:1, 0:2 |
| 1966-67 | ჩთ | 1/16 | „არისი“ ლუქსემბურგი — „ლინფილდი“ | 3:3, 1:6 |
| | | 1/8 | „ვალერენგენი“ ნორვეგია — „ლინფილდი“ | 1:4, 1:1 |
| | | 1/4 | „ლინფილდი“ — ცსკა სოფია, ბულგარეთი | 2:2, 0:1 |
| 1967-68 | უთ | 1/32 | „ლოკომოტივი“ ლაიპციგი, გდრ — „ლინფილდი“ | 5:1, 0:1 |
| 1968-69 | უთ | 1/32 | „ვიტორია“ პორტუგალია — „ლინფილდი“ | 3:0, 2:1 |
| 1969-70 | ჩთ | 1/16 | „ცრვენა ზვეზდა“ იუგოსლავია — „ლინფილდი“ | 8:0, 4:2 |
| 1970-71 | თთ | 1/16 | „მანჩესტერ სიტი“ ინგლისი — „ლინფილდი“ | 1:0, 1:2 |
| 1971-72 | ჩთ | 1/16 | „სტანდარდი“ ბელგია — „ლინფილდი“ | 2:0, 3:2 |
| 1975-76 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — პსვ ჰოლანდია | 1:2, 0:8 |
| 1978-79 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „ლილესტრიომი“ ნორვეგია | 0:0, 0:1 |
| 1979-80 | ჩთ | წინ. | „დანდალკი“ ირლანდია — „ლინფილდი“ | 1:1, 2:0 |
| 1980-81 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „ნანტი“ საფრანგეთი | 0:1, 0:2 |
| 1981-82 | უთ | 1/32 | „ბევერენი“ ბელგია — „ლინფილდი“ | 3:0, 5:0 |
| 1982-83 | ჩთ | 1/16 | „ნენტორი“ ალბანეთი — „ლინფილდი“ | 1:0, 1:2 |
| 1983-84 | ჩთ | 1/16 | „ბენფიკა“ პორტუგალია — „ლინფილდი“ | 3:0, 3:2 |
| 1984-85 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „შემროკ როვერსი“ ირლანდია | 0:0, 1:1 |
| | | 1/8 | „პანათინაიკოსი“ საბერძნეთი — „ლინფილდი“ | 2:1, 3:3 |
| 1985-86 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „სერვეტი“ შვეიცარია | 2:2, 1:2 |
| 1986-87 | ჩთ | 1/16 | „რუსენბორგი“ ნორვეგია — „ლინფილდი“ | 1:0, 1:1 |
| 1987-88 | ჩთ | 1/16 | „ლილესტრიომი“ ნორვეგია — „ლინფილდი“ | 1:1, 4:2 |
| 1988-89 | უთ | 1/32 | „ტურკუ“ ფინეთი — „ლინფილდი“ | 0:0, 1:[illegible] |
| 1989-90 | ჩთ | 1/16 | „ლინფილდი“ — „დნეპრი“ სსრკ | 1:2, [illegible] |

* მეორე მატჩი არ გაიმართა

გერმანიის ჩემპიონატი

# „აინტრახტის" ძლევამოსილი სტარტი

**„ბორუსია"მიონხენგლადბახი – „აინტრახტი" 0:4.** კახი ცხადაძის „აინტრახტმა" ფანტასტიურად გახსნა სეზონი, მოიგო რა 4:0. თან სად! მიონხენგლადბახში, სადაც „აინტრახტს" 14 წელია არ მოუგია. ბურთები გაიტანეს ფურტოკმა, ბაინმა, ფეირბახმა და იებოამ.

**„ბორუსია" დორტმუნდი – „კარლსრუე" 2:1.** უკვე 27-ე წუთზე



შტეფან შაპუიზა

სტუმრები ათნი დარჩნენ: მეორე გაფრთხილება მიიღო და მოედანი დასტოვა „კარლსრუეს" ყველაზე გამოცდილმა მოთამაშემ (37 მატჩი ნაკრებში) ვოლფგანგ როლფმა. ზამერისა და შაპუიზას გოლებს „კარლსრუემ" მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე უპასუხა ებერხარდ კარლის გოლით.

**„ჰამბურგი" – „ნიურნბერგი" 5:2.** ამ მატჩში გავიდა ახალი ჩემპიონატის პირველი გოლი — მე-2 წუთზე „ნიურნბერგის" არგენტინელმა თავდამსხმელმა სერხიო ზარატემ გახსნა ანგარიში. ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა ჰ[illegible]ლესლიგაში ლიტველ ვალ[illegible]ას ივანაუსკასს, რომელმაც ორი გოლი გაიტანა. ასევე ორჯერ გაამწარა „ნიურნბერგის" მეკარე 32 წლის ტომას ფონ ჰესენმა, რომელიც აგერ უკვე 12 წელია, რაც „ჰამბურგში" თამაშობს.

**„ბაიერნი" – „ფრაიბურგი" 3:1.** სანტა-ფეს „ინდეპენდიენტედან" ბოლო მომენტში 3 მილიონ დოლარად ნაყიდმა კოლუმბიელმა ადოლფო ვალენსიამ ორი გოლით აღნიშნა ბუნდესლიგაში დებიუტი. კიდევ ერთი გოლი დებიუტანტის კარში მარკუს შუპმა გაიტანა. ოლივერ ფროინდი კი შევა „ფრაიბურგის" ისტორიაში, როგორც ამ გუნდის მიერ ბუნდესლიგაში გატანილი პირველი გოლის ავტორი.

**„ვატენშაიდი" – „შალკე 04" 3:0.** გოლები გაიტანეს პოლონელმა მარეკ ლესნიაკმა, ტორსტენ ფინკმა და იორგ ბახმა.

**„კიოლნი" – „კაიზერსლაუტერნი" 0:2.** შვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველმა, 23 წლის ჩირიაკო სფორცამაც დებიუტის მატჩი გოლით აღნიშნა. მეორე გოლი მარკუს მარინიმ გაიტანა.

**„დუისბურგი" – „ბაიერი" ლევერკუზენი 2:2.** მასპინძლები ორჯერ იყვნენ წინ (ტორსტენ ვოლერტი, ჰანს ლაიტმაიერი), მაგრამ სტუმრებმა შეძლეს მატჩის გაყაიმება (ბრაზილიელი პაულო სერჟიო, მარკუს ჰაპე).

**„ლაიპციგი" – „დინამო" 3:3.** აღმოსავლეთ გერმანული „დერბი" უა[illegible]ქსად დაძაბულად ჩატარდა, თუმცა



მათიას ზამერი

გუნდებმა ქულები თანაბრად გაინაწილეს. ამ ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიკის ავტორია დრეზდენელი ოლაფ მარშალი.

**„ვერდერი" – „შტუტგარტი" 5:1.** ტურის ცენტრალური მატჩი კვირას გაიმართა. „ვერდერმა" ჩემპიონური თამაში აჩვენა. ორ-ორი გოლი გაიტანეს ახალზელანდიელმა ვინტონ რუფერმა და ავსტრიელმა ანდრიას ჰერცოგმა. მეორე ტაიმის შუაში მოედნიდან გააძევეს ნაკრების ყოფილი მოთამაშე ტომას ბერტოლდი („შტუტგარტი").

მეორე ტურში დიდ ინტერესს იწვევს „აინტრახტი" — „ვერდერის" მატჩი, რომელიც შაბათს შედგება.

მსოფლიოს ჩემპიონატი

## სამხრეთ ამერიკა

„ა" ჯგუფი. პარაგვაი — არგენტინა 1:3, პერუ — კოლუმბია 0:1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| კოლუმბია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| პერუ | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

„ბ" ჯგუფი. ბოლივია — ურუგვაი 3:1, ეკვადორი — ვენესუელა 5:0.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივია | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 6 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-0 | 4 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 3 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 3 |
| ვენესუელა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-18 | 0 |

33 მატჩამდე აიყვანა არგენტინის ნაკრებმა წაუგებელ თამაშთა სერია, თუმცა ეს ორ გაძევებად დაუჯდა (რუჯერი, ბატისტუტა). მსაჯმა არც მასპინძლები დაინდო და მათი ორი მოთამაშეც ზედ მიაყოლა. არგენტინამ უკვე მეორე გასვლითი მატჩი მოიგო და ალბათ საშინაო შეხვედრებში ქულასაც არ დასთმობს. კოლუმბიამ წინა მატჩში გაძევებული ხორხე სოტოს და ხუან ველოსას გარეშე მოიგო ლიმაში.

**პოლონეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ერთი წლით აუკრძალა თამაში ვარშავის „ლეგიას" ფეხბურთელს რომან ლუბის. გასული სეზონის ერთ-ერთი ბოლო მატჩის შემდეგ მას დოპინგ-კონტროლის გავლა მოუხდა და ორგანიზმში ტესტოსტერონის მომეტებული რაოდენობა აღმოუჩინეს

**ბოლივიის სენსაციური გამარჯვების (ბრაზილიასთან 2:0) შემდეგ ნაკრების ფეხბურთელ მიგელ ანხელ რიმბა ალვესს დოპინგ-სინჯი აუღეს. კონტროლმა ორგანიზმში კოკაინის არსებობა დააფიქსირა. ასეთივე „წარმატებით" გაიარა ეს პროცედურა ბრაზილიელთა სათადარიგო მეკარემ არმ[illegible]ლინიო კოლიატომ („ზეტიმ"). ფიფამ 24 საათი ადროვა ორი ქვეყნის ფედერაციებს მკაცრი სასჯელის გამოსატანად. მათ კი გამოიძიეს საქმე და დაადგინეს: ფესურთელებმა მატჩის წინ ჩაი დალიეს, რომელშიც, ალბათ, კოკაინის ფოთლები ეყარაო. საოცარია, მაგრამ ფიფა ამ ახსნა-განმარტებას დასჯერდა.**

კოტ დ'ივუარის დედაქალაქ აბიჯანში შედგა მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვებული შესარჩევი მატჩი

ფეხბურთის



რუკასთან

სენეგალსა და ზამბიას შორის. ეს შეხვედრა 2 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ავიაკატასტროფაში ზამბიის ნაკრების დალუპვის გამო არ შედგა. ფიფამ ზამბიას დრო მისცა, რათა ახალი ნაკრები ჩამოეყალიბებინა და შაბათს განახლებულმა გუნდმა სენეგალთან ფრედ 0:0 ითამაშა, ნაკრების ახალი მწვრთნელი, „ჩელსის" ყოფილი თავკაცი იან პორტერფილდი კი მაინც უკმაყოფილო დარჩა, თუმცა ზამბიას ამ ჯგუფში სენეგალთან და მაროკოსთან შედარებით უკეთესი შანსები აქვს.

**საქართველოში დაბადებული, თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე, ამჟამად უკრაინის მოქალაქე ახრიკ ცვეიბა რუსეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზში" ჩაირიცხა.**

ინგლისის სუპერთასი

# CHARITY, SHIELD

ინგლისის ჩემპიონატი ამ კვირის ბოლოს იწყება. ტრადიციისამებრ, ახალი სეზონი წინა ჩემპიონისა და თასის მფლობელის საქველმოქმედო მატჩით იწყება. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ყველაზე ცნობილი სამოყვარულო გუნდის „კორინტიანზის" მდივანმა ჯექსონმა დაარწმუნა ლონდონის შერიფი ტომას დევორი, რომ მას დაეწესებინა ჯილდო საქველმოქმედო თამაშისთვის, რომელშიც საუკეთესო სამოყვარულო და პროფესიული გუნდები შეხვდებოდნენ. შერიფმა მიიღო წინადადება და იმავე წელს პირველი მატჩიც ჩატარდა: „კორინტიანზის" და ლიგის ჩემპიონ „შეფილდ იუნაიტედის" მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა. სამი კვირის შემდეგ კვლავ ფრე განმეორდა 1:1. მაშინ გუნდებმა მოილაპარაკეს და თასი 6-6 თვით ჰქონდა თითოეულს. 1930 წლიდან „საქველმოქმედო ფარის" (SHARITY SHIELD) თამაშში ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებიან, თუმცა იყო გ[illegible]კლისებიც.

შაბათს „უემბლიზე" პირველად ამ ჯილდოს გათამაშების ისტორიაში დაირღვა ტრადიცია და პენალტების სერია შესრულდა, თუმცა ამაზე ბოლოს. „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" ჯერ კიდევ სამხრეთ აფრიკაში ტურნეს დროს შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ „არსენალმა" მოიგო 2:0. ამჯერად უკვე მე-7 წუთზე „მანჩესტერ იუნაიტედი" დაწინაურდა — გიგზმა ჩააწოდა საჯარიმოსთან, კანტონამ გააჩერა და ჰიუზმა დაარტყა — 1:0. კანტონამ, მიუხედავად იმისა, რომ BBC წინა დღეს ეჭვქვეშ აყენებდა მის თამაშს მცირე ტრავმის გამო, საუცხოოდ ითამაშა. უკვე პირველ ტაიმში შეეძლო „მანჩესტერს" ორი-სამი ბურთით დაწინაურება, მაგრამ ტაიმი 1:1 დამთავრდა: 45-ე წუთზე დიქსონმა მოაწოდა აუტი საჯარიმოს ხაზთან და იან რაიტმა შეუჩერებლად დაარტყა. მეორე ტაიმშიც „მანჩესტერი" ფლობდა უპირატესობას, მაგრამ კანტონამ და კანჩელსკისმა უზუსტოდ ითამაშეს საგოლე მომენტების დროს. მატჩი ფრედ დამთავრდა და „SHARITY SHIELD"-ის 90-ე გათამაშებაში ინგლისელებმა უღალატეს მამა-პაპათა წესს და პენალტების სერია დანიშნეს. ეს მატჩი გასართობად ითვლება და მაყურებელი მართლაც რიგიანად გაერთო. ბოლო პენალტს „არსენალი" ურტყამდა. ამ დროს ანგარიში 4:4 იყო. რაიტმა ბურთი კარებს ააცილა. მეექვსე პენალტი ბრაიან რობსონმა გაიტანა — 5:4, „არსენალმა" კი დარტყმის უფლება მეკარე სიმენსს მიანდო. „მანჩესტერის" დანიელ მეკარე შმაიხელს თვით ვან ბასტენის პენალტი აქვს აღებული და კოლეგის დარტყმის მოგერიება, რაღა თქმა უნდა, არ გასჭირვებია...

ბოლო ოცი წლის CHARITY SHIELD

| | | |
|---|---|---|
| 1973 | ბიორნლი — მანჩესტერ სიტი | 1:0 |
| 1974 | ლივერპული — ლიდს იუნაიტედი | 1:1 |
| 1975 | დერბი ქაუნთი — ვესტ ჰემ იუნაიტედი | 2:0 |
| 1976 | ლივერპული — საუთჰემპტონი | 1:0 |
| 1977 | ლივერპული — მანჩესტერ იუნაიტედი | 0:0 |
| 1978 | ნოტინგემ ფორესტი — იფსვიჩ თაუნი | 5:0 |
| 1979 | ლივერპული — არსენალი | 3:1 |
| 1980 | ლივერპული — ვესტ ჰემ იუნაიტედი | 1:0 |
| 1981 | ასტონ ვილა — ტოტენჰემ ჰოთსპური | 2:2 |
| 1982 | ლივერპული — ტოტენჰემ ჰოთსპური | 1:0 |
| 1983 | მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული | 2:0 |
| 1984 | ევერტონი — ლივერპული | 1:0 |
| 1985 | ევერტონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2:0 |
| 1986 | ევერტონი — ლივერპული | 1:1 |
| 1987 | ევერტონი — ქოვენტრი სიტი | 1:0 |
| 1988 | ლივერპული — უიმბლდონი | 2:1 |
| 1989 | ლივერპული — არსენალი | 1:0 |
| 1990 | ლივერპული — მანჩესტერ იუნაიტედი | 1:1 |
| 1991 | არსენალი — ტოტენჰემ ჰოთსპური | 0:0 |
| 1992 | ლიდს იუნაიტედი — ლივერპული | 4:3 |
| 1993 | მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი | |

საფრანგეთის ჩემპიონატი

მესამე ტურში კვლავ მოიგო „ნანტმა". მან სტუმრად „ტულუზა" დაამარცხა 3:0 (სიასია 11, უედეკი 22, 55) და ახლა ერთადერთი გუნდია, რომელმაც 6 ქულა დააგროვა. გია გურულის გუნდმა „ლე ავრმა" სტუმრად ფრეს მიაღწია „მარსელთან" 1:1 (ბოლი 29; ბა 30). დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სოშო" — „მეცი" 2:1 (კავეილა 11, იაკოვენკო 82; ზიტელი), „სენტ ეტიენი" — „მონაკო" 2:0 (მორო 26, სეირჩევსკი 62), „ანჟერი" — „ლიონი" 3:1 (ლაგრანჟი 6, დორი 59, ელ ჰადავი 62; დებაა 48), „სტრასბური" - „პარი სენ ჟერმენი" 2:2 (სასიუ 10, რეჯისი 57; ვეა 6, როშე 46), „ბორდო" — „კანი" 0:0, „მონპელიე" — „მარტიგი" 1:0 (ასანოვიჩი 57), „კაენი" — „ოსერი" 1:0 (ნუმა 55).

ვინაიდან საფრანგეთის ჩემპიონატი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ჩვენი გაზეთის გამოსვლა, გთავაზობთ პირველი ორი ტურის შედეგებს.

**I ტური.** მარსელი — ლანი 1:0, მონპელიე — ლიონი 1:1, ნანტი — მონაკო 1:0, სოშო — ანჟერი 4:1, ბორდო — პსჟ 1:0, სენტ ეტიენი — კანი 1:2, მეცი — კაენი 1:1, ტულუზა — ლე ავრი 0:0, ლილი — მარტიგი 1:1, სტრასბური — ოსერი 1:1.

**II ტური.** ლე ავრი — ბორდო 0:3, ნანტი — სენტ ეტიენი 1:0, მეცი — ანჟერი 2:0, მარტიგი — სოშო 1:1, პსჟ — ლილი 2:1, მონაკო — ტულუზა 3:0, ოსერი — მონპელიე 3:1, ლიონი — კაენი 2:0, კანი — მარსელი 2:1, ლანი — სტრასბური 0:0.

შოტლანდიის ჩემპიონატი

შაბათს დაიწყო შოტლანდიის ჩემპიონატი.

„რეინჯერსმა" ძირითადი შემადგენლობის 5 ფეხბურთელის (გორამი, მაკკოისტი, სტივენი, სტივენსი, მაკფერსონი) გარეშეც მოუგო „პართს" 2:1. 44-ე წუთზე პეიგანმა, 65-ზე კი პეიტლიმ თავურით ორი გოლი გაუტანეს სტუმრების მეკარეს. მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მაკკინლის დარტყმული ბურთი მოხვდა „რეინჯერსის" მცველ ბრაუნს და კარში გავიდა. ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო შეხვედრა დანდიში, სადაც „იუნაიტედი" „აბერდინს" ხვდებოდა. სტადიონს იმდენი ხალხი მოაწყდა, პოლიციასაც კი გაუჭირდა მათი ადგილებზე განაწილება. თავად მატჩი 1:1 დამთავრდა. „სელტიკი" სტუმრად 0:2 აგებდა „მოზერუელთან", მაგრამ მაინც იხსნა ქულა 2:2. დანარჩენი შეხვედრები: „ჰიბერნიანი" — „პარტიკი" 0:0, „კილმარნოკი" — „დანდი" 1:0, „რეით როვერსი" — „სენტ ჯონსტონი" 1:1.


ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი № 2

ფეხბურთის მოყვარულები მალე მიიღებენ „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნის" ახალ გამოშვებას. ორგანიზაციებს და ფირმებს, რომელთაც ამ წიგნში რეკლამის მოთავსება სურთ, დარეკონ: 74-58-50

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შედეგთა დაფა

### მძლეოსნობა

„მსოფლიო კლასის შეჯიბრება“. ციურიხი (შვეიცარია). 4 აგვისტო. საპრიზო ფონდი: 3 200 000 დოლარი

კაცები: 100მ: 1. ლ. ბარელი (აშშ) 10,02; 2. ლ. კრისტი (დიდი ბრიტანეთი) 10,03; 3. ჯ. დრამონდი (აშშ) 10,05; 4. კ. ლუისი 10,07. 1 500მ: 1. ნ. მორსელი (ალჟირი) 3.30,06. 5 000მ: 1. ხ. სკაპი (მაროკო) 13.04,67 (სეზონის საუკეთესო შედეგი — სსშ); 2. ი. ონდიეკი (კენია). 400მ თარჯრბენი: 1. ვ. გრემი (იამაიკა) 47,6; 2. ს. მატეტე (ზამბია); 3. კ. იანგი (აშშ). 3 000მ წინაღობებით: 1. მ. კიპტანუი (კენია) 8.10,29. 4 X 100მ ამანათრბენი: 1. აშშ 37,99. სიმაღლეზე ხტომა: 1. ტ. კემპი (ბაჰამის კუნძულები) 234;.. 4. ხ. სოტომაიორი (კუბა, მსოფლიოს რეკორდსმენი) 230. ჭოკით ხტომა: 1. ს. ბუბკა (უკრაინა) 590.
ქალები: 100მ: 1. მ. ოტი (იამაიკა) 10,93 (პირქარში); 2. გ. ტორენსი (აშშ); 3. გ. დივერსი (აშშ); 4. ი. პრივალოვა (რუსეთი). 800მ: 1. მ. მუტოლა (მოზამბიკი) 1.55,62 (სსშ). 400მ თარჯრბენი: 1. ს. განელი (დიდი ბრიტანეთი) 53,52. სიგრძეზე ხტომა: 1. ჰ. დრეხსლერი (გერმანია) 721 (სსშ). ბირთვის კვრა: 1. ვ. გიუნტორი (შვეიცარია) 21,49

მონტე-კარლო. „გრან-პრი“. შაბათი, 7 აგვისტო.

კაცები. 100მ: 1. ჯონ დრამონდი (აშშ); 2. ლეროი ბარელი (აშშ). 200მ: 1. დანიელ ეპიონი (ნიგერია) 20,16; 2. ფრანკი ფრედრიქსი (ნამიბია); 3. ჯონ რიჯისი (დიდი ბრიტანეთი); 4. კარლ ლუისი (აშშ) 20,27. 3000მ: 1. ნურადინ მორსელი (ალჟირი) 7. 9,25 (მსოფლიო რეკორდზე 0,25 წამით უარესია). 400მ თარჯრბენი: 1. სამუელ მატეტე (ზამბია) 47,95; 2. კევინ იანგი (აშშ); 3. ვინფორდ გრემი (იამაიკა).
ქალები. 100მ: 1. მერლინ ოტი (იამაიკა). 200მ: 1. ოტი 21, 77 (სსშ). 400მ: 1. გვენ ტორენსი (აშშ) 49,83 (სსშ). 1500მ: 1. ვიოლეტა ბაკლეუ (რუმინეთი) 3.59,35 (პირველმა ხუთეულმა გააუმჯობესა სსშ)

### ჩოგბურთი

კარლსბადი (კალიფორნია). ქალთა „მასტერ კლასიკ“. 2-8 VIII. მეოთხედფინალები: შტეფი გრაფი (გერმანია, განთესვის ნომერი 1) — მარი პირსი (საფრანგეთი, 7) 6:3, 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:3, 6:2; მარკეტა კოხტერმა (გერმანია) დაამარცხა ელენა ლიხოვცევა (ყაზახეთი); არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) — ენ გროსმანი (აშშ) 6:0, 6:0. ნახევარფინალები: გრაფი — მარტინესი 7:5, 6:2; სანჩეს-ვიკარიო — კოხტერი 6:2, 6:1. ფინალი: გრაფი — სანჩეს-ვიკარიო 6:4, 4:6, 7:5. გრაფმა ჯილდოდ 75 ათასი დოლარი მიიღო. 17 წლის ლიხოვცევამ (მსოფლიო კლასიფიკაციაში 244-ე ნომერმა) მეორე წრეში დაამარცხა ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 8) 1:6, 7:6, 6:2. ჯენიფერ კაპრიატიმ (აშშ, 4) ზურგი იტკინა და შეჯიბრება მიატოვა.

ლოს-ანჯელესი (კალიფორნია). „ვოლვო კლასიკ“ — პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) კაცთა ტურნირი. 2-8 VIII. მეოთხედფინალები: რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 4) — ალექსანდრ ვოლკოვი (რუსეთი, 5) 6:1, 6:4; პიტ სამპრასი (აშშ, 1) — პატ მაკინროუ (აშშ) 7:5, 6:2; ჩაკ ადამსი (აშშ, მსოფლიო კლასიფიკაციით 86-ე) — მიხაელ შტიხი (გერმანია, 2) 5:7, 6:4, 6:4; მაიკლ ჩანგი (აშშ, 3) — აარონ კრიკშტაინი (აშშ) 4:6, 6:3, 6:2 (2 საათსა და 21 წუთში). ნახევარფინალები: კრაიჩეკი — სამპრასი 4:6, 6:3, 7:6; ჩანგი — ადამსი 6:3, 6:2. ფინალი: კრაიჩეკი — ჩანგი 0:6, 7:6, 7:6. შარშანდელმა ჩემპიონმა კრაიჩეკმა ტიტული შეინარჩუნა. წინა „დუბლი“ ჯიმი კონორსმა შეასრულა 1973-74 წლებში. უეინ ფერეირა (სამხრეთი აფრიკა, 6) დამარცხდა კრიკშტაინთან 6:4, 0:6, 3:6; ბრედ გილბერტი (აშშ, 8) — პ. მაკინროუსთან 7:6, 3:6, 0:6.

პრაღა. ჩეხეთის ღია პირველობა. 2-8 VIII. ნახევარფინალები: სერხიო ბრუგერა (ესპანეთი, 1) — ანდრეი ჩერკასოვი (რუსეთი) 6:3, 6:1; ანდრეი ჩესნოკოვი (რუსეთი, 3) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი, 2) 7:5, 2:0 (გუსტაფსონი უარი თქვა). ფინალი: ბრუგერა (საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონი) — ჩესნოკოვი 7:5, 6:4.

**კიცბიუელი (ტიროლი, ავსტრია). „ფილის პეთ ქაფ“. 2-8 VIII. ნახევარფინალები: თომას მუსტერი (ავსტრია, 3) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა, 2) 6:3, 6:4; ხავიერ სანჩესი (ესპანეთი, 6) — ბერნდ კარბახერი (გერმანია, 8) 6:2, 6:2. ფინალი: მუსტერი — სანჩესი 6:3, 2:2 (მერე გაწვიმდა და თამაში გადაიდო). გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 1) დამარცხდა კარბახერთან 6:7, 2:6.**

ევროპის ჩემპიონატი.
შეფილდი (ინგლისი). 31 VIII — 8 VIII

### ცურვა

ჩემპიონები: კაცები.
თავისუფალი სტილი. 50 მ: ალექსანდრე პოპოვი (რუსეთი) 22,27; 100 მ: პოპოვი 49,15; 200 მ: ანტი კასვიო (ფინეთი); 400 მ: კასვია; 1500 მ: იორგ ჰოფმანი (გერმანია) 15.13,31
ზურგზე. 100 მ: მარტინ ლოპეს-სუბერო (ესპანეთი); 200 მ: ვლადიმერ სელკოვი (რუსეთი)
ბრასი. 100 მ: კაროი გუტლერი (უნგრეთი) 1.00,95 (მსოფლიო რეკორდი); 200 მ: ნიკ გილინგემი (დიდი ბრიტანეთი)
ბატერფლაი. 100 მ: რაფალ შუკალა (პოლონეთი) 53,41; 200 მ: დენის პანკრატოვი (რუსეთი) 1.59,50;
კომპლექსური. 200 მიანი სიივინენი (ფინეთი) 1.59.50 400 მ: ტომაშ დარნი (უნგრეთი)
ესტაფეტა. 4X200 მ. თავისუფალი სტილით: რუსეთი; 4X100 მ. კომბინირებული: რუსეთი

ქალები
თავისუფალი სტილი. 50 მ: ფრანცისკა ვან ალმზიკი (გერმანია) 25,23; 100 მ: ვან, ალმზიკი 54,57; 200 მ: ვან ალმზიკი; 400 მ: დაგმარ ჰაზე (გერმანია); 800 მ: იანა ჰენკე (გერმანია)
ზურგზე. 100 მ: კრისტინა ეგერსეგი (უნგრეთი); 200 მ: ეგერსეგი
ბრასი. 200 მ: ბრიგიტა ბიკუ (ბელგია)
ბატერფლაი. 100 მ: კატრინ პლევინსკი (საფრანგეთი); 200 მ: ეგერსეგი
კომპლექსური. 200 მ: დანიელა ჰუნგერი (გერმანია); 400 მ: ეგერსეგი 4.39,55
ესტაფეტა. 4X100 მ და 4X200 მ თავისუფალი სტილით და 4X100 მ კომბინირებული: სამივეჯერ — გერმანია

### წყალში ხტომა

კაცები. 1 მ ტრამპლინი: პეტერ ბოილერი (გერმანია); 10 მ კოშკურა: დმიტრი საუტინი (რუსეთი)
ქალები. 1 მ ტრამპლინი: სიდონა კოხი (გერმანია); 10 მ ტრამპლინი: სვეტლანა ხოხლოვა (რუსეთი)

### სინქრონული ცურვა

დუეტი: ანა კოზლოვა — ოლგა სედაკოვა (რუსეთი)
ანსამბლი: რუსეთი

### წყალბურთი

კაცები. ფინალი: იტალია (ოლიმპიური ჩემპიონი) — უნგრეთი 11:9. კლასიფიკაცია: 1. იტალია, 2. უნგრეთი, 3.ესპანეთი, 4. რუმინეთი... 7. რუსეთი... 11. უკრაინა, 12. დიდი ბრიტანეთი

ქალები. ფინალი: ჰოლანდია — რუსეთი 13:8. მესამე ადგილისათვის: უნგრეთი — იტალია 8:7

### ავტოსპორტი

რალის მსოფლიოს პირველობის ეტაპი — ახალი ზელანდიის რალი. 2-8 აგვისტო. 1. კოლინ მაკრეი („სუბარუ“); 2. ფრანსუა დელაკური („ფორდი“, ჩამორჩა 27 წამით); 3. დიდიე ორიოლი („ტოიოტა“); 4. კარლოს საინსი („ლანჩა“, მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი); 5. იუჰა კანკუნენი („ტოიოტა“, მსოფლიოს ჩემპიონატის ლიდერი)

„ინდიკარის“ ჩემპიონატის ეტაპი — „ნიუ-ინგლენდ 200“, ნიუ-ჰემპშირის ავტოდრომი, აშშ. 8 აგვისტო. 1. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი); 2. პოლ ტრეისი (კანადა, ჩამორჩა ერთი წამით); 3. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია). მენსელს ამ დღეს შეუსრულდა 40 წელი და ჩემპიონატს 25 ქულით ლიდერობს

### თანამედროვე ხუთჭიდი

მსოფლიოს ჩემპიონატი.
გერმანია. 7-8 აგვისტო.

ქალები. პირადი: 1. ევა ჩელერუპი (დანია) — 5643; 2. ივონა კოვალევსკა (პოლონეთი); დოროთა ინტია (პოლონეთი). გუნდური: 1. რუსეთი
კაცები. გუნდური. 1. უნგრეთი

### რაგბი

**ქარრის თასი — სამხრეთ აფრიკის პროვინციათაშორისი შეჯიბრება. შაბათი, 7 აგვისტო.**

**დურბანი. ნატალი — აღმოსავლეთი კონცხი 33:12**
**ბლუმფონტეინი. ნარინჯის თარხანი სახელმწიფო — დასავლეთი კონცხი 49:35**

**ლიდერობენ ნატალი და ტრანსვაალი**

## რაგბი

# ფოქსი

## „ოლ ბლექს“ ეთხოვება

ათი დღის წინ გამოცხადდა, ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ 10 ნომერი გრანტ ფოქსი წლის ბოლოს ალბათ თავს დაანებებს ნაკრებში თამაშსო. რაგბზე გადარეული ქვეყნის საუკეთესო დამრტყმელის „ოლ ბლექსთან“ გამოთხოვება სავარაუდოდ ნოემბერში მოხდება, მას შემდეგ, რაც ახალზელანდიელები ინგლის-შოტლანდიას ტურნეთი მოივლიან. ერთი სიტყვით, „ოლ ბლექსის“ ქომაგებს იმედად ისღა რჩებათ, რომ ფოქსს მინიმუმ ორი ტესტ-მატჩის თამაში კიდევ მოუწევს.

ფოქსმა მსოფლიოს თავი ათი წლის წინ გააცნო, როცა ახალ ზელანდიაში ტურნეზე მყოფ „ბრიტანელ ლომებს“ ბოლო წუთზე არეკნი შეუგდო და თავისს პროვინციას — ოკლენდს ერთი ქულით გაამარჯვებინა. ორი წლის შემდეგ 23 წლის ფოქსი ნაკრებში ჩარიცხეს, მაგრამ 1986 წელს დისკვალიფიკაცია მისცეს. საქმე ის იყო, რომ მაშინ ფოქსი უდიდეს სარაგბო დივერსიაში მონაწილეობდა: თავისი ქვეყნის რაგბის კავშირისა და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირს) აკრძალვის მიუხედავად, ‚ოლ ბლექსის“ მოთამაშეთა დიდი ნაწილი, ვითომც კერძო პირები ვართო, ისე ეწვია სამხრეთ აფრიკას, იქ გუნდად გაერთიანდა, „მხედრები“ დაირქვა, „ოლ ბლექსის“ ერთიანად შავ ტანისამოსს ყვითელი ზოლი დაუმატა და ხანგრძლივი ტურნეც გამართა, რომლის პროგრამაშიც ოთხი ტესტი იყო „ქურციკების“ წინააღმდეგ.

„მხედრების“ საქციელს უდიდესი სკანდალი მოჰყვა, მით უფრო, რომ ურჩ მოთამაშეებს ბრალად დასდეს, საერთაშორისო აკრძალვების უგულებელყოფის ფასად მასპინძლებისგან მალულად ძლვენი აიღეთო. ეტყობა, საქმე მართლაც ასე იყო, რაკილა ამ ტურნეს შემდეგ ჩამოსაწერ ოლბლექსელთა უმრავლესობა მოედანზე აღარც გამოჩენილა. რაც შეეხებათ იმედისმომცემ მოთამაშეებს — ფოქსს, ქერვინს, შელფორდს, გ. ვეთონს და სხვებს, მათ ძღვენი უსიტყვოდ უკან დააბრუნეს და ამით თავიანთი სამოყვარულო უბიწოება დაამტკიცეს.

დისკვალიფიკაციის შემდეგ, 1987 წლის პირველი მსოფლიო თასის პირველი თამაშიდანვე ოკლენდელი ფოქსი „ოლ ბლექსის“ ძირითადი გარე ნახევარმცველი და კარში დამრტყმელი გახდა. მან იმდენად შეავიწროვა მაორი ფრანო ბოტიკა, რომ იძულებული გახადა სპორტი გამოეცვალა — ბოტიკა 1990 წელს პროფესიონალი გახდა, ცამეტკაციან რაგბში გადავიდა და დღესაც ერთობ წარმატებით თამაშობს უგამოჩენილეს ჩრდილოინგლისურ კლუბ „ვიგანში“. თავად ფოქსმა კი მსოფლიო თასის 6 თამაშში 30 გარდასახვით, 21 საჯარიმოთი და 1 არეკნით 126 ქულა მოაგროვა. ამ შედეგს ალბათ ველარავინ გააუმჯობესებს, ვინაიდან რაც დრო გავა, მით უფრო გათანაბრდება მსოფლიო თასის მონაწილეთა დონე, რის გამოც 1987 წლის „ოლ ბლექსივით“ ალბათ ველარავინ იპარპაშებს.

ნაკრებმაცა და ფოქსმაც დიდების მწვერვალს 1989 წლის სეზონში მიაღწიეს, როცა „ოლ ბლექსმა“ შვიდივე ტესტი მოიგო. მერე დაიწყო ახალზელანდიელთა დაღმასვლა: შინაურ რაგბში ოკლენდსა და დანარჩენებს შორის კინკლაობა ატყდა, მოთამაშეთა ნაწილი გაპროფესიონალდა, ნაკრებიც დასუსტდა და 1991 წელს გუნდმა მსოფლიო თასი დაკარგა, 1992 წელს კი — ავსტრალიასთან საცილო „ბლედისლოუს თასი“.

შარშან ახალზელანდიელებმა თავიანთი რაგბის კავშირის საუკუნოვანი იუბილე აღნიშნეს. საზეიმო კვირეულში „ოლ ბლექსი“ სამჯერ ეთამაშა დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებს. პირველი თამაშის წაგების შემდეგ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, ოტაგოელმა ლორი მეინსმა ფოქსი დაიწუნა, რის გამოც ოკლენდელთა დამრტყმელს საიუბილეო სერიის დარჩენილი ნაწილი და ირლანდიასთან ორი ტესტიც გაუცდა. მაგრამ მოახლოვდა „ბლედისლოუს თასი“ და ფოქსის შემცვლელი ლითლის თამაშით უკმაყოფილო მწვრთნელმა „ვოლაბების“ წინააღმდეგ **ისევ ფოქსს უხმო, რომელმაც ბოლო, მესამე, „ოლ ბლექსის“ მიერ ერთადერთ მოგებულ ტესტში ემხიანი არეკნიც გაიტანა.**

**მას შემდეგ ფოქსი ნაკრებში უცვლელად თამაშობს. წელს „ოლ ბლექსმა“ უკვე დაამარცხა „ბრიტანელი ლომები“ და ავსტრალიის ძლევით „ბლედისლოუს თასიც“ დაიბრუნა. ფოქსმა „ლომებს“ სამ ტესტში 4 გარდასახვა და 8 საჯარიმო** შეუგდო, „ვოლაბებს“ ერთადერთ ტესტში კი — 5 საჯარიმო. მაგრამ თვით ფოქსისთვისაც ალბათ ერთი ყველაზე უფრო ტკბილადმოსაგონარი უნდა იყოს ათი დღის წინანდელი თამაში სამოას გუნდთან, რომელშიც, მისი დარტყმები რომ არა, „ოლ ბლექსი“ ეგზომ დამაჯერებლად 35:13 ვერ გაიმარჯვებდა.




**გრანტ ჯეიმს ფოქსი**
**ახალი ზელანდია**

31 წლისა; 175 სმ, 75 კგ. გარე ნახევარმცველი; უნივერსიტეტი (ოკლენდი). ნაკრებში (1985 წლიდან): 46 ქეფი, 645 ქულა (ლ, 118გ, 128ს, 7ა); საშუალოდ 14 ქულა. პირადი რეკორდი: 26 ქულა — 10გ, 2ს ფიჯისთან (1987 წელს, მსოფლიოს თასზე)

მაგრამ ჯერ სამოას შესახებ. ზღვისრეთის ამ კუნძულოვანი ქვეყნის მოსახლეობა სულ 167 ათასია, მაგრამ სარაგბო თემი 100 კლუბად დარაზმულ 6 ათას მოთამაშეს ითვლის. ვიდრე 1962 წელს დამოუკიდებლობას მიაღწევდა, სამოა დიდი ხანი, 1914 წლიდან, ახალი ზელანდიის სამეურვეო ტერიტორია იყო და ერთთავად მისგან თავის დაღწევას ცდილობდა. რაკილა კუნძულებზე სამუშაოს შოვნა ყოველთვის ჭირდა, სამოელები საშოვარზე ახალ ზელანდიაში მიდიოდნენ და იქ სახლდებოდნენ.

სამოელები, ზღვისრეთის სხვა ქვეყნების მცხოვრებთა მსგავსად, რაგბს კარგად თამაშობენ. ათწლეულობის განმავლობაში „ოლ ბლექსში“ ყოველთვის თამაშობდა რამდენიმე სამოელი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მსოფლიო თასის გათამაშება დაწესდა და ყოფილ პროტექტორატს გლობალური სარაგბო ინტერესები გაუჩნდა, ახალი ზელანდიის რაგბის მამები საფუძვლიანად შეშინდნენ — ჩვენთან დამკვიდრებული და „ოლ ბლექსში“ მოთამაშე სამოელები ემანდ თავისიანებმა არ გადაიბირონო.

1991 წლის მსოფლიო თასის წინ სამოელი მამლუქების გამო მოდავე მხარეები ჯენტლმენურად შეთანხმდნენ, მოთამაშეებისათვის მიენდოთ იმის არჩევა, თუ რომელ გუნდში ითამაშებდნენ. ჰოდა, ყველამ, ვინც კი „ოლ ბლექსში“ მოხვდა, რაღა თქმა უნდა უგანა სამშობლოს და „დიდ ახალ ზელანდიას“ მიემხრო. საქმე კურიოზამდეც კი მივიდა: ხვიჩასა და გოჩასი არ იყოს, ძმები ბემოფებიდან ერთი — გრემი ახალი ზელანდიის სახელით თამაშობდა, მეორე, სტივენი კი — სამოასით.

**ახალი ზელანდიის მიერ სამოას ძარცვა კვლავაც გრძელდება. შარშან „ოლ ბლექსმა“ ს. ბემოფიცა და ფრენკ ბანსიც გადაიბირა. ბემოფი ნაკრებში ვერ დამკვიდრდა, ბანსი კი დღესდღეობით „ოლ ბლექსის“ ძირითადი შუამარბია და შვიდკაცასაც კარგად თამაშობს.**

**მეორეს მხრივ, შარშან ახალმა ზელანდიამ დიდი პატივი დასდო სამოას, სცნო რა მისი სარაგბო დამოუკიდებლობა** და ძალა — მას მიანიჭა ტესტის მოთამაშე ქვეყნის სტატუსი, რასაც სავსებით იმსახურებდა ბოლო მსოფლიო თასის მეოთხედფინალისტი. აღიარებას წელს, ივლისში სამოას მიერ ახალი ზელანდიის პირველი სრულუფლებიანი ტურნე მოჰყვა. თუმცაკი, მასპინძლებმა მაინც საკმაო ვერაგობა გამოიჩინეს და სტუმრებს ერთობ უცნაური პროგრამა შეურჩიეს: ისინი უმეტესად პროვინციათა ჩემპიონატის მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს უნდა შეხვედროდნენ, მერე კი უცებ, „ჰოპლა“ და პირდაპირ „ოლ ბლექსის“ ორ შემადგენლობას შებმოდნენ.

სამოელებმა მაინც ღირსეულად გალიეს ესოდენ უცნაური ტურნე. მათ არ დაუზოგავთ მასპინძლები — ვისაც მოერივნენ, ყველას გამანადგურებელი ანგარიშით მოუგეს: დასავლეთ სანაპიროსა და ბულერის ნაკრებს 72:0 (ვესტპორტში), მალბროს 128:0 (20ლ) (ბლენემში), ახალი ზელანდიის უნივერსიტეტებს 48:10 (7ლ:ლ) (ველინგტონში), ოკლენდის საგრაფოებს 41:22 (პუკეკოჰეში), სამეფო ქვეყანას 57:21 (ტე-კუიტიში) და სიდუხჭირის ყურეს 53:6 (გისბორნში). სამაგიეროდ, როტორუაში (სიუხვის ყურე), შუა ტურნეზე წააგეს ახალი ზელანდიის მეორე ნაკრებთან 13:37 (8:6) (2ლ:5ლ), ტურნეს ბოლოს კი — ოკლენდში, „ოლ ბლექსთან“ 13:35 (6:22) (ლ,გ,2ს:2ლ,2გ,7ს). აი, სწორედ ამ თამაშში იყო, ფოქსს რომ არ ემარჯვნა, ვინ იცის, ეგებ „ოლ ბლექსს“ მთლად დამაჯერებლად ვერც გაემარჯვნა.

ოკლენდის „იდენ პარკზე“ შეკრებილ 35 ათას მაყურებელს შორის ახალი ზელანდიის ბინადარი უამრავი სამოელიც იყო. ისინი დოლის ბრაგუნით ამხნევებდნენ თავისიანებს. სამოელები „ოლ ბლექსშიც“ ერივნენ: მაიკლ ჯოუნზი (7), ტუიგამალა (11) და ბანსი (13). სტადიონი ბრძოლის ველს დაემგავსა, იმდენი სისხლი დაიღვარა. დაშავდა ოკლენდელი ამომავალი ვარსკვლავი ლი სტენსნესიც (12), რომელმაც მანამდე ლელოს გატანა მოასწრო. სამოამ ერთი პირობა სხვაობა 12 **ქულამდეც შეამცირა 13:25, მაგრამ ფოქსმა ამ დღეს 7 საჯარიმო შეაგდო, რაც ტესტებში აღრიცხული მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. აქამდე ამდენივე საჯარიმო ჰქონდათ გატანილი ინგლისელ საიმონ ჰოჯკინსონს (უელსთან, 1991 წელს; ინგლისმა სტუმრად მოიგო 25:6) და არგენტინელ სანტიაგო მესონს (საფრანგეთთან, 1992 წელს; არგენტინამაც სტუმრად მოიგო 24:20).**

**ზაალ ბიბინეიშვილი**

# სლეტერი თუ ფარ-ჯოუნზი?

სამხრეთ აფრიკის ტურნე ავსტრალიაში. მერვე თამაში. კვირა, 8 აგვისტო. „ბალიმორი", ბრისბენი

| | | |
|---|---|---|
| ქვინზლენდი | 3 | (3) |
| „ქურციკები" | 17 | (10) |



ნიკ ფარ-ჯოუნზი

გასულ კვირაში „ქურციკები" ახალი სამხრეთი უელსიდან ქვეყნის დედაქალაქ კანბერის გავლით მეორე სარაგბო შტატში — ქვინზლენდში ჩავიდნენ. ქვინზლენდში მნიშვნელოვანი თამაშების გამართვა კვირაობით აქვთ წესად. ეს სულ არ აძლევდათ ხელს სამხრეთაფრიკელებს, ვინაიდან რჯული კვირას თამაშს უკრძალავთ — აკი ნიკო ბაგრატიონიც აღნიშნავდა ბურების მეტისმეტ ღვთისმოსაობას. როგორც გუნდის მენეჯერმა იანი ენგელბრეხტმა ადრევე განაცხადა, იგი არავის დააძალებდა უქმეზე თამაშს.

ასე იყო თუ ისე, „ქურციკებმა" ავსტრალიის ჩემპიონს, რომლის რიგებშიც „ვოლაბებში" სხვადასხვა დროს ნათამაშევი 13 მორაგბე იყო, შეძლებისდაგვარად უძლიერესი შემადგენლობა შეახვედრეს. „შეძლებისდაგვარად" იმის გამო, რომ სიდნეიში 19:12 მოგებულმა პირველმა ტესტმა შეიწირა მცველი ვან რენსბერგი და ბურჯი ჰილსი, შუა კვირაში კანბერაში 57:10 გამარჯვებამ კი — მეორეხაზელი ვიზაჟი. ტურნეზე ისინი ჟუბერმა, როჯერსმა და აფერტონმა შეცვალეს.

„ქურციკებმა" ერთობ დაიბრიყვეს ქვინზლენდი, რომელმაც წელს ერთობ წარუმატებლად იასპარეზა „ზე-ათის" სერიაში: სტუმრად წააგო სამოასთან 7:27, შინ — ოკლენდთან 21:22, მერე შინ სძლია ოტაგოს (ახალი ზელანდია) 20:8, მაგრამ სტუმრად ისევ წააგო, ამჯერად ნატალთან (სამხრეთი აფრიკა) 15:32. „ქურციკები" პირველად მე-40 წუთზე დაწინაურდნენ, როცა კვაჭმაული შმიდტმა მეტოქის შერკინება მოიგო, სტრაუსმა (8) შეუტია, შეიქმნა რაქი, იქიდან მიღებული ბურთი კი დიუპრემ (9) ისევ შმიდტს მისცა, რომელმაც ლელო გაიტანა. სტრანსკიმ (10) მანამდე გატანილ საჯარიმოს გარდასახვაც დაუმატა 10:3.

შესვენების შემდეგ თამაში ერთთავად ქვინზლენდის ნახევარზე მიმდინარეობდა. მე-60 წუთზე, ზედიზედ რამდენიმე მოლის შემდეგ სტრანსკი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და ოლიფიე (11) ლელოში ბურთიანად შეგზავნა, თავად კი გარდასახვაც დააყოლა 17:3.

მეორე ტესტი შაბათს, 14 აგვისტოს, „ბალიმორზევე" გაიმართება. „ქურციკები" თანდათან ძლიერდებიან, „ვოლაბების" ლაგენდარულმა სიდნეელმა 9 ნომერმა ფარ-ჯოუნზმა კი, რომელიც ახლახანს დაუბრუნდა ნაკრებს, ამ უქმეებზე საკლუბო თამაშის დროს თითი მოიტეხა და თუ შაბათისთვის ვერ მომჯობინდა, მისივე მემკვიდრე და მუდმივი მარქაფა სლეტერი შეცვლის.


# სარბიელი

და

ფირმა "CROCO"

# ტოტალიზატორი

13 აგვისტოდან განახლდება ფსონების მიღება

შეგახსენებთ თამაშის წესებს:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს. (მაგალითად, თუ თქვენ ფსონი გააკეთეთ ერთდროულად ოთხ თამაშზე და ივარაუდეთ „ვერდერის", არგენტინის, ეკვადორისა და ბრაზილიის გამარჯვება, თქვენი ვარიანტის გამართლების შემთხვევაში მიიღება კოეფიციენტი 95,3 (3,7 X 1,8 X 5,3 X 2,7). ასეთ შემთხვევაში ყოველ დადებულ ათას მანეთზე მიიღებთ 95 300 მანეთს).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 აგვისტო | აინტრახტი – ვერდერი | 1,8 | 1,8 | 3,7 |
| | ლევერკუზენი – ბაიერნი | 2,2 | 2,7 | 1,8 |
| 15 აგვისტო | კოლუმბია – არგენტინა | 4,4 | 1,7 | 1,8 |
| | პარაგვაი – პერუ | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | ბოლივია – ეკვადორი | 1,2 | 3,1 | 5,3 |
| | ურუგვაი – ბრაზილია | 2,5 | 1,7 | 2,7 |




ეკვატორის სიგრძე 40075,7 კილომეტრია, აი, თბილისელ ჯუმბერ ლეჟავას კი განუზრახავს ველოსიპედით დედამიწის ირგვლივ იმოგზაუროს და 300000 კილომეტრი დაფაროს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ველოსიპედით 225000 კილომეტრს გაივლის, დანარჩენ 75000-ს კი გემით, რათა კონტინენტიდან კონტინენტზე და კუნძულიდან კუნძულზე გადავიდეს.

54 წლის ჯუმბერ ლეჟავა 13 აგვისტოს დილით გამოეთხოვება თავის ორ ქალიშვილს, ახლობლებს, მეგობრებს და სტარტს რუსთავიდან აიღებს. მას ელის უაღრესად საინტერესო, რომანტიკული და იმავ დროს ძალიან რთული და სახიფათო მოგზაურობა ყველა კონტინენტზე, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მისი მარშრუტი გაივლის გადატვირთულ ასფალტიან მაგისტრალებზე და უკაცრიელ უგზო-უკვლო ადგილებშიც, გავარვარებულ ქვიშის უდაბნოებშიც და თოვლ-ყინულოვან რაიონებშიც, მათ შრის თვით გრენლანდიასა და შესაძლოა ... ანტარქტიდაშიც კი.



# ვიდრე კონტინენტები ტაშს დაუკრავდნენ

პირველი უცხოური სახელმწიფო, სადაც ჯუმბერ ლეჟავა შევა, თურქეთი იქნება. მერე იქნება მოგზაურობა აზიაში, ავსტრალიაში, ოკეანიის კუნძულებზე, კვლავ აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, აფრიკაში, ევროპაში, კუნძულ გრენლანდიაზე, კვლავ ევროპაში და ისევ აზიაში. ბოლოს მარშრუტი აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოვა. ლეჟავას განზრახული აქვს 2000 წელს საკუთარ ჭერქვეშ შეხვდეს.

მაინც, ვინ არის ჯუმბერ ლეჟავა? ამ კაცის სახელი დღეს თითქოს ყველას პირზე უნდა ეკეროს, მაგრამ ასე არ გახლავთ. არადა, ეს ის კაცია, რომლის სტუდენტობის დროინდელი გამოგონება რომ არა, დღევანდელი წყალქვეშა ნავების ფასი, როგორც იტყვიან, კაპიკი იქნებოდა; ეს ის კაცია, რომელმაც ექიმების პროგნოზისა და ყოველგვარი სამედიცინო ლოგიკის საწინააღმდეგოდ, 46 წლის ასაკში, საკუთარი სიცოცხლე მძიმე და უიმედო ოპერაციის შემდეგ ვარჯიშის წყალობით გადაარჩინა; ეს ის კაცია, რომელმაც იმ ვარჯიშებით — იატაკიდან მკლავებზე ტანის აწევაში — მსოფლიო რეკორდების კორიანტელი დააყენა და „გინესის რეკორდების წიგნში" დაიმკვიდრა ადგილი; ეს ის კაცია, რომელიც ამ წიგნის თერთმეტგზის რეკორდსმენობის დამადასტურებელ სერთიფიკატს ფლობს; ეს ის კაცია, რომელსაც ავტომობილით მოუვლია სსრ კავშირის ევროპული ნაწილი, მოტოციკლეტით — მთელი სსრ კავშირი, ფეხით — მთელი საქართველო.

არადა, ამ კაცს ფართო საზოგადოება დიდხანს არ იცნობდა. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. საქართველოში ლეჟავაზე პირველად მას მერე დაიწერა, როცა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" მკითხველს ჩვენს თანამემამულეზე მოუთხრო. ეს კი ამ ორი თუ სამი წლის წინათ მოხდა. თუმცა, ბოლო წლებში ჩვენთან ისეთი ბატალიები დატრიალდა, ისეთ პოლიტიკურ მორევში გადავეშვით, რომ ჯუმბერ ლეჟავა კი არა, საკუთარი თავიც დაგვავიწყდა.

ახლაც ამ ყოფაში ვართ და ნეტა ამ კაცს რა ეველოსიპედება და რა ემოგზაურებაო — ალბათ იკითხავს მკითხველი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა ომებით, სისხლისღვრითა და ლამის კაციჭამიობით გაიცნეს, მაშინ ლეჟავას მოგზაურობა ამგვარი იმიჯის შეცვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად გვესახება. ის ხომ ამ მოგზაურობისას პროპაგანდას გაუწევს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას... ამ მოგზაურობაზე გაღებული თანხები მის სპონსორებს ათმაგად და ასმაგად დაუბრუნდებათ. ლეჟავას მოგზაურობა მთელ საქართველოსაც გვარიან ვალუტას ჰპირდება. რა თქმა უნდა, ეს სარეკორდო ოდისეა თავად ჯუმბერ ლეჟავას ხელმოკლე ოჯახსაც სულს მოათქმევინებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის მეშვეობით ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობით თვით „მერსედესი" დაინტერესდა. უახლოეს ხანში ამ ფირმასთან ხელშეკრულება გაფორმდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება „კოკა-კოლასთან".

რაც შეეხებათ სპონსორებს, ესენი არიან: რუსთავი, რუსთავის განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობი ცენტრი, ილია ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მამულის აღორძინების საზოგადოება, საზოგადოება „ეგრისი", და ასოციაცია „საქართველო".

ამ მოგზაურობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ფირმებმა: „ლოგოვაზი", „ფარი", „თემი", „კომპი", „კაქტუსი".

ვიდრე ლეჟავას მოგზაურობას კონტინენტები ტაშს დაუკრავენ, ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა ხდება საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომიტეტების აქტიური მხარდაჭერითა დათანადგომით.

ზემოთ ვთქვით, ოდისეაო, ისიც უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დედამიწის ირგვლივ მსგავსი მოგზაურობა ჯერ არავის განუხორციელებია. თუ ლეჟავას მოგზაურობა წარმატებით დასრულდა, ესეც „გინესის რეკორდების წიგნში" მოხვდება. ამავე წიგნში მოხვდება ამ მოგზაურობისას გზად დამყარებული რეკორდებიც.

ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის უკეთ გაშუქების მიზნით შექმნილია პრესცენტრი, რომელიც ჩვენი თანამემამულის ველომარათონს თვალყურს ადევნებს. სწორედ ამ პრესცენტრის დახმარებით „სარბიელი" მკითხველს შეძლებისდაგვარად მიაწვდის ინფორმაციას.

ავთანდილ გურასაშვილი



ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის მარშრუტი.
ზემოთ — მოგზაურობის ემბლემა (ავტორი გოჩა იაშვილი)

## ჩაროზი ასოკირკიტა მკითხველთათვის

მაინც რა აერთიანებს ბურთაობის სხვადასხვა სახეობას? — „რა და ბურთიო“, მოგვიგებს გაოცებული მკითხველი, აქაო და დახეთ, რა მიამიტური შეკითხვა დაუსვამთო.

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ბურთი რომ მრავალნაირია: მრგვალი და ოვალური, დიდი და პატარა, სავსე და ღრუული, ტყავისა და ხისა და ა.შ. მაშინ, მოდით მათი დახარისხება ვცადოთ იმის იმედით, რომ ვინიცობაა რაიმე კანონზომიერებაც აღმოვაჩინოთ.

# ბურთის ანატომია

თავდაპირველად მოვიტანოთ ბურთების განზომილებები. ისინი ასოკირკიტა ხალხისთვის კარგად ცნობილი ესტონური ცნობარის — „ალფასა და ომეგას“ მეორე (1988) და მესამე (1990) რუსული გამოცემებიდან ამოვკრიფეთ. (იხ. ცხრილი; ბურთის დიამეტრი გაზომილია მილიმეტრობით, წონა — გრამობით; ყველა მონაცემი მაქსიმალურია; რაგბის ბურთის დიამეტრად აღებულია ღერძისგასწრივი სიგრძე, ჰოკეის შაიბის დიამეტრად კი — ბარდოს დიამეტრი)

| | დიამეტრი | წონა | | დიამეტრი | წონა |
|---|---|---|---|---|---|
| ბადმინტონი | ? | 7 | პინგ-პონგი | 38 | 3 |
| ბალახის ჰოკეი | 72 | 163 | პოლო | 85 | 130 |
| ბილიარდი | 62 | ? | რაგბი | 286 | 425 |
| გოლფი | 43 | 46 | სქვოში | 38 | 380 |
| ველობურთი | 160 | 600 | ფეხბურთი | 226 | 453 |
| კალათბურთი | 255 | 650 | ფრენბურთი | 213 | 280 |
| კეგლი | 218 | 7300 | ფუშბოლი | 1830 | 22670 |
| კეტბურთი | 70 | 155 | ჩოგბურთი | 67 | 59 |
| კრიკეტი | 76 | 60 | წყალბურთი | 226 | 450 |
| კროკეტი | 92 | 450 | ხელბურთი | 191 | 475 |
| ლაკროსი | 64 | 142 | ჰოკეი | 76 | 170 |
| მოტობურთი | 400 | 1000 | ჰოკეი-ბენდი | 60 | 62 |

როგორც ვხედავთ, ბურთების ზომა-წონა ერთობ ვრცელ დიაპაზონში იცვლება. თუ რიცხვებს ჩავუკვირდებით, შეგვიძლია გამოვყოთ ბურთების ორი ძირითადი ჯგუფი: ჯუჯა და ზომიერი. ჯუჯად უპრიანი იქნება მივიჩნიოთ ის ბურთები, რომელთა დიამეტრიც 100 მილიმეტრზე ნაკლებია. ცხრილში ამნაირი ბურთი სულ 14-ია და თუ ამ ბურთებით თამაშის ხერხს გავიხსენებთ, უმალ ცხადი გახდება, რომ მათ ან ჩოგანს სცემენ, ან ყავანჯს, ტაფელას, კეტს, კიისა და ჩაქუჩს. სიზუსტის მოყვარულთათვის დავაზუსტოთ, რომ ჩოგნით თამაშობენ ბადმინტონს, ლაკროსს, პინგ-პონგს, სქვოშსა და ჩოგბურთს; ყავანჯით — ყოველგვარ ჰოკეის, გოლფსა და პოლოს (ჩვენებური ცხენბურთის ანალოგს); ტაფელით — კრიკეტს, კეტით — კეტბურთს, კიით — ბილიარდს, ჩაქუჩით კი — კროკეტს.

ახლა ჯუჯა ბურთების ზომისა და წონის თანაფარდობასაც ჩავუკვირდეთ. თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, შევადაროთ ერთმანეთს ბურთების სიმკვრივეები (ანუ კუთრი წონები). შეგახსენებთ, რომ სიმკვრივის გამოსათვლელად წონა (მეცნიეროლ ენაზე „მასა“) უნდა გაჰყოთ ბურთის (მეცნიერულად „ბირთვის“ ანდა [illegible]) მოცულობაზე, ამ უკანასკნელის გამოსათვლელად კი დიამეტრი უნდა ააკუბოთ (აიყვანოთ მესამე ხარისხში), გადაამრავლოთ 3,14-ზე (ე.წ. „პი“-ზე), შემდეგ კი ნამრავლი გაჰყოთ 6-ზე.

ძნელია, არა? — უმაგისოდაც მოხერხდება. შევნიშნოთ, რომ უმცირესი ბურთები პინგ-პონგსა და სქვოშშია, უდიდესი და უმძიმესი ჯუჯა ბურთი კი — კროკეტში. ახლა შევადაროთ პინგ-პონგისა და სქვოშის ბურთების წონები. პირდაპირ საოცარია — სქვოშის ბურთი თავისს ტოლაზე 127-ჯერ მძიმეა.

ევრიკა! საქმე ისაა, რომ ზოგი ბურთი ღრუა, ზოგიც — მთლიანი, სავსე. თუ ჯუჯების სიმკვრივეებს მიახლოებით შევაფასებთ, ცხადი შეიქნება, რომ მათგან მხოლოდ ორი — ჰოკეი-ბენდისა და პინგ-პონგისაა ღრუ, ყველა სხვა კი სავსეა. ამიტომაა პირველი ორი ესოდენ მსუბუქი, დანარჩენები კი — დაახლოებით ტოლი სიმკრივისა. რაც შეეხება სქოშის ბურთს, იგი ისე მკვრივია, რომ ტყვიასავით დაჰკრის კორტზე და კედლებიდან ძლიერად სხლტება.

ჯუჯათა სიმკრივეები ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდება, რამდენადაც მათი მასალის სიმკვრივეები. ჯუჯათა მასალად კი, მოგეხსენებათ, კორპის, რეზინის, კანაფის, ტყავის, პლასტიკისა და გუდაპერჩის გარდა თვით სპილოს ძვალსაც კი იყენებენ. რაც შეეხება უმკვრივეს ჯუჯას — კროკეტის ბურთს, იგი ხისგან მზადდება, რაკიღა ჩაქუჩის დარტყმით უნდა აგორავონ მოლზე.

გადავიდეთ ზომიერ ბურთებზე. თუ რაგბისა და მის განაყოფთა ოვალურ ბურთებს ანგარიშში არ ჩავაგდებთ, უდიდესი ბურთი კალათბურთისა გამოგვივა. მერე ფეხბურთისა და წყალბურთის ბურთები მოდიან. თურმე ნუ იტყვით, ამ ორ სახეობას ტოლი ბურთები ჰქონია! ხელბურთის ბურთი კლასიკურ ბურთებს შორის უმცირესია. მერე მოდის ჩვენთვის ეგზოტიკური ველობურთის ბურთი, რომელიც სიმცირის მიუხედავად მაინც საკმაოდ მძიმეა. კიდევ უფრო მძიმე და დიდია მოტობურთის ბურთი, რაც საკმაოდ იოლი ასახსნელია. ისე, საინტერესო კია, მაინც რამოტოლა იქნებოდა ავტობურთის ბურთი, რომლის გამოჩენის პერსპექტივაც ვაჟა ზაზაევიჩს მოსვენებას უკარგავდა.

უთუოდ ავტობურთის ბურთის ბადალი იქნებოდა აწ უკვე გადაშენებული ფუშბოლის ბურთი. ძველებს კარგად ეხსომებათ, წვრილფეხობას კი შეიძლება ენახოს ქრონიკის ფოტოები დაახლოებით ასეთი სათაურებით: „ფუშბოლი „დინამოს“ ძველ სტადიონზე“ ან „ფუშბოლი დიდუბის იპოდრომზე ვსევობუჩელთა ზეიმის დღეებში“. ცოდვა გამხელილი სჯობს და ცხონებულ ბოლშევიკებს ძალზედ უყვარდათ გრანდიოზული ლიანგური სანახაობანი. ერთი ამათგანი იყო ფუშბოლიც, რომლის არსიც იყო ის, რომ ასეულობით ფიზკულტურელს ვეებერთელა ბურთი, რომელიც ჩვენი რედაქციის უმაღლეს წევრზეც მაღლად გამოიყურებოდა, ხელის კვრით (ინგლისურად PUSH) ეგორებინათ. ისე კი, ფუშბოლის ბურთი ცხრილში ოდენ სისრულისთვის შევიტანეთ. აბა, სხვაფრივ როგორ იქნებოდა?!

ზაზა კირკიტაძე,

ხელმოცარული მეცნიერი, საგანგებოდ „სარბიელისთვის“

# ცდუნება მეტად დიდია

როცა ორად გახლეჩილი გერმანია გაერთიანდა, მავანნი ხელებს იფშვნეტდნენ, „ახლა ხომ მაინც ბოლო მოეღება დოპინგით გაჰყეპილ გერმანელთა მომაბეზრებელ ბატონობას ცურვაში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობასა და მისთანებშიო“. იგივე საზოგადოება ბუკნაღარით შეხვდა სსრ კავშირის დაშლასაც, „ერთიც ვნახოთ და რუსეთი ურესპუბლიკებოდ რისი მაქნისიაო“.

გამოხდა ხანი და გაცხადდა, რომ პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ბევრი ვერაფერი დააკლეს ტოტალიტარიზმის მიერ ნაშობ საბჭოურ თუ აღმოსავლეთგერმანულ სპორტულ სისტემებს. საბჭოეთი შეცვალა რუსეთმა, რომელსაც ორი პრობლემა თუ აწუხებს წარსულთან შედარებით — უსახსრობა და კადრების საზღვარგარეთ გადინება. რაც შეეხება ერთიან გერმანიას, იქ მტკივნეულად და ხშირად სკანდალურადაც კი ხდებოდა სოციალისტური სპორტული მანქანის დასავლურ გარემოში ინტეგრაცია.

შეფილდში წინა უქმეებზე დამთავრებულმა მსოფლიო ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ გერმანია და რუსეთი ახალ პირობებს შეჰგუებიან. გერმანიამ შეჯიბრება 30 მედლით დაამთავრა, რუსეთმა — ერთით ნაკლებით. გერმანიას 15 „ოქრო“ მოუგროვდა, რუსეთს — 12, მესამე ადგილზე გასულ უნგრეთს კი — 6. ერთი სიტყვით, ექსსოციალისტური ბანაკი დიდ სპორტში ჯერაც მძლავრობს.

წყალჯომარდობა ოთხ სახეობას მოიცავს, რომელთაგან უმთავრესი ცურვაა. სწორედ ცურვაში ნაწილდება მედლების უმეტესობა. შეჯიბრების პროგრამაში იმდენი ხერხითა და იმდენ დისტანციაზე ცურვაა შეტანილი, რომ მეტნაკლებად უნივერსალური მოცურავე, თუკი ძალა შესწევს და შეჯიბრების განრიგიც ხელს შეუწყობს, მედლების გვარიან კოლექციას შეკრებს.

წელს ამგვარი კოლექციონერის როლი 15 წლის ბერლინელმა მოწაფემ, ფრანცისკა ვან ალმზიკმა იკისრა. მან თავიდანვე განაცხადა, რომ 7 ოქროს მედლის მოპოვებას ისახავდა მიზნად, და დანაქადნებს კიდეც აღასრულებდა, ჩემპიონატის გრაფიკს რომ არ დაეღალატებინა. ვან ალმზიკს სამი „ოქრო“ უკვე მოგებული ჰქონდა, როცა მეტისმეტი კადნიერება გამოიჩინა და ბატერფლაის სპეციალისტს, ფრანგ პლევინსკის 100 მეტრზე შეეჯიბრა. ფრანგმა გაასწრო გერმანელს და ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი.



ფრანცისკა ვან ალმზიკი

სხვაფრივ ვან ალმზიკს არსად გასჭირვებია: სამი „ოქრო“ თავისუფალი სტილით მოკლე მანძილებზე ცურვაში მოიხვეჭა, სამიც — ესტაფეტებში. ფიზიკური გამძლეობის გარდა ვან ალმზიკი შესაშურ სიდინჯესაც ავლენდა: პიჟამოს ყველაზე გვიან იხდიდა და სტარტზეც უკანასკნელი დგებოდა, რითაც მეტოქეებს მეტად აფორიაქებდა და თრგუნავდა, ერთხელ კი 15 წლის ქალი იმდენად გათამამდა, რომ ვითომც ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნადო, სტარტის წინ საზოგადოების თანდასწრებით ქვაფენილზეც კი წამოწვა.

შედეგების მხრივ ვან ალმზიკს ცოტათი ჩამორჩა უნგრელი კრისტინა ეგერსეგი, რომელმაც ფრიადი უნივერსალიზმი გამოავლინა: „ოქრო“ მოიგო ზურგზე, ბატერფლაით და კომპლექსურ ცურვაში. ეგერსეგი თურმე კაც მოცურავეებს, მეტადრე კი ტომაშ დარნის ეჯიბრება წვრთნის დროს.

ბარსელონის ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა დარნიმ ამჯერად ბევრი ვერაფრით ისახელა თავი, 200 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინალის სტარტზე საერთოდ არ გამოცხადდა. ბევრს ეცადნენ ჟურნალისტები, უნგრელთა ხელმძღვანელებისათვის დაეცდენინებინათ დარნის ადგილსამყოფელი. ბოლოსდაბოლოს უნგრეთის დელეგაციამ განაცხადა, „ტომაში ისე დაქანცა 400 მეტრზე გაცურვამ, რომ ლოგინად ჩავარდა ვირუსული ინფექციითო“.

საერთოდ, უნგრეთის გუნდს წელს ფათერაკი მრავლად სდევდა. ჯერ იყო და ცნობილი მებრასე ნორბერტ როჟა გაუავსტრალიელდათ, მერე კი წყალჯომარდობის ფედერაციის ხაზინადარმა, გვარად ზემპლენიიმ გუნდი ფაქტიურად უფორინტოდ დატოვა და დიდძალი ფულითურთ გაუჩინარდა.

ავსტრალიაში ემიგრაციის პრობლემა შეფილდში კიდევ ერთხელ წამოტივტივდა. რუსმა პოპოვმა ბარსელონის „ოქროს დუბლი“ ევროპულ სარბიელზეც გაიმეორა. მერე გაირკვა, რომ პოპოვის ყოფილი მწვრთნელი გენადი ტურეცკი შარშან ავსტრალიაში გადახვეწილა და იქ სპორტის ეროვნულ ინსტიტუტში მოცურავეთა მთავარი მწვრთნელი გამხდარა. როჟას გადაბირების შემდეგ ტურეცკი ახლა პოპოვსაც დაჰკავშირებია და მისთვის ეკვატორს ქვემოთ გადაბარგება შეუთავაზებია. მართალია, პოპოვი ყოყმანობს და აცხადებს, რომ კანბერაში ოდენ სავარჯიშოდ ჩავა, მაგრამ მისი სიტყვებისა ბევრს მაინც არა სჯერა, იმდენად დიდია საცდური.

დაბოლოს, შეფილდში დამყარებული ერთადერთი მსოფლიო რეკორდის შესახებ. იგი ისევ და ისევ უნგრელის, მებრასე კაროი გუტლერის ანგარიშზე მოდის. მოცურავემ სარეკორდო დრო წინასწარ გაცურვაში აჩვენა.

## აქეთური, იქითური

ინგლისის მოედნებზე დამთავრდა კრიკეტის მსოფლიო თასის გათამაშება ქალთა შორის. ინგლისისა და ახალი ზელანდიის გუნდების ფინალურ მატჩს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორიც დაესწრო. საპატიო სტუმარი ერთობ კმაყოფილი დარჩა როგორც თამაშის დონით, ასევე ქალთა სანიმუშო ქცევით. სამაგიეროდ, თავიანთი ავი ზნე კიდევ ერთხელ გამოამჟღავნეს ვაჟმა მოკრიკეტეებმა. კვირას, კოლომბოში, შრი-ლანკისა და ინდოეთის გადამწყვეტი ტესტ-მატჩის დროს მასპინძლებმა მსაჯს შესჩივლეს, მოგერიება რომ გაგვიძნელონ, ინდოელებმა ბურთი მალულად დააზიანესო. საჩივარს გაცხარებული კამათი, შეხლა-შემოხლა და ბოლოს ტრადიციული ლანძღვაგინება მოჰყვა.

*

ალჟირელმა სტაიერმა ნურადინ მორსელიმ წინა შაბათს, მონტე-კარლოში გამარჯვების შემდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურა განზრახვა, არ იმონაწილეოს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ამ შაბათს შტუტგარტში დაიწყება. მორსელის მენეჯერის მტკიცებით, სტაიერს „გრან პრის“ თითო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის 60 ათას დოლარს უხდიან, ამ თანხით კი შეიძლება სამი ისეთი „მერსედესის“ შეძენა, როგორსაც მსოფლიო მძლეოსნობის „მამები“ შტუტგარტის ღონისძიების გამარჯვებულებს ჰპირდებიან.

*

გორბაჩოვისეული გარდაქმნა თავის დროზე სპორტსაც შეეხო: დაიშალა დარგობრივი სპორტსაზოგადოებები, მათ ნაცვლად კი ერთიანი პროფკავშირული საზოგადოება შეიქმნა. ახლა, როცა „პერესტროიკა“ ჩაფლავდა, ყველაფერი პირუკუ ხდება. მაგალითად, შარშან აღორძინდა „სპარტაკი“, ოღონდაც უკვე საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებად. წინა კვირაში ვოლგისპირა სამარაში გაიმართა პირველი სპარტაკიადა, რომელშიც უამრავი „სპარტაკი“ მონაწილეობდა. შეჯიბრების პროგრამაში ბაგირის გადაძალვაც კი იყო შეტანილი.

*

პარასკევს, პუერტო-რიკოზე, კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით საშუალო წონოსანთა მსოფლიო პირველობისათვის ამერიკელმა ჯერალდ მაკლენანმა სარეკორდოდ მცირე დროში — სულ რაღაც 30 წამში გალახა თანამემამულე ჯეი ბელი. მაკლენანის პირველივე დარტყმის შემდეგ ბელი ბაგირებზე გადაესვენა. მის მოსულიერებას ხუთ წუთს მოუნდნენ, რის გამოც რეფერის ათამდე დათვლა არც დასჭირვებია.

*

პროფესიული გოლფის ცნობილმა ზიმბაბველმა მოთამაშემ, მილიონერმა ნიკ პრაისმა ამერიკულ ტურნეზე ზედიზედ სამი შეჯიბრება მოიგო, რის შედეგადაც მიღებული ჰონორარებით თვითმფრინავი შეიძინა.

*

ზღვისრეთის კუნძულოვანი ქვეყნის — ტონგას წესრიგისა და პოლიციის მინისტრმა ნობო აკუოლამ თავის ხელქვეითებს ერთი პირობა აუკრძალა მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებში თამაში. საქმე ის იყო, რომ ერთ-ერთ საშინაო თამაშში ამტყდარი ჩხუბი პოლიციის გუნდს დაბრალდა. ნაკრებმა ერთობ მოისაკლისა ოთხი პოლიციელი მორაგბე, წაგო რა სამოასა და შოტლანდიასთან. ამან მინისტრს გული მოულბო; აკუოლამ წყალობა გაიღო, გაძლიერებულმა ტონგას გუნდმაც ორი მატჩის ანგარიშში აჯობა მეზობელ ფიჯის და გავიდა მსოფლიო თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე, რომელიც 1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გაიმართება.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: ბია ახალაძე; ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიბინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)